კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჯიუზე ვანლი

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
21 ივლისი,
2003 წელი
№191
(4570)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


რეაქცია

## კომენტარი იუპიტერისათვის

### რატომ გადმოვბეჭდეთ „კომერსანტიდან“ წერილი საქართველოს შესახებ *

Äåíü è íî÷ü. Íî÷ü è äåíü.
Ñòðàííî ïîäóìàòü, ñòðàøíîé — to speak.
Îò íåâèäèìîé ÷åðâû ëîæèòñÿ òåíü — òóç ïèê.
ÀÍÄÍÅÉ ÂÎÇÍÅÑÅÍÑÊÈÉ.

To speak ინგლისურად ლაპარაკია: დღისა და ღამის ცვალებადობაში, საოცარია, მაგრამ საშიში გამხდარა ლაპარაკი.

რისამე თქმა...

„მეტალის“ მეტაფორის ბოლომდე გაშიფვრას წერილის ბოლოს შევეცდები, თუმცა აქედანვე ჩანს რაღაც საბედისწერო საწყისი — პიკის ტუზი, უფრო საბედისწერო, ვიდრე პიკის ქალი.

„როკმეტალი“ და „მეტალის“ მეტაფორა, ეს ორი შეუსაბამობა ადამიანებზე ზემოქმედების საწყისზე შეერთდა, დაემყნო და ერთ მარტივ ამბავში ჩაეტია, რასაც სკანდალი ჰქვია — პური ჩვენი სულიერი არსობისა. სამწუხაროდ.

რუსული მედია ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ არ წყალობს, ყველამ იცის, სადაც და როდესაც მიეცემა ოდნავი საშუალება — უტევს.

საქართველოს სიყვარულსაც რომ ვერ დააბრალებ, ესეც იცით. მაგრამ ამბავი იგი

**„იწყება ამით და არ მთავრდება“.**

მიეცათ ამის შესაძლებლობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის აშშ-ში ვიზიტის შემდეგ: ორი პოლიტიკური კურდღლის ერთად დაჭერის შესაძლებლობა.

ასეთ კურდღლებს დღევანდელ პრესაში ისე იჭერენ, როგორც ნიანგებს პინცეტით, შეტრიალებული დურბინდით, შეტრიალებული ტვინით, ჩვენს შემთხვევაში.

ახალი არაფერია.

გაზეთი „კომერსანტი“ წერს: ნინო ბურჯანაძე, როგორც შევარდნაძისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალების წარმომადგენელი, აშშ-ში შესანიშნავად მიიღეს. მთელი წერილი „ვივატის“ სტილშია დაწერილი.

ესე იგი, რაო?

რაო და, აშშ-ს ადმინისტრაციამ ედუარდ შევარდნაძის შემცვლელი უკვე შეარჩიაო. და რადგან აღარც ამერიკა უჭერს მხარს, ჩვენ, ანუ რუსეთს, შეგვიძლია მთელი ძალით და უკანმოუხედავად შევუტიოთ საქართველოს პრეზიდენტს და მისი ქვეყნის სუვერენიტეტსო.

აბა, ბიჭებოო!

ბიჭებმა (ეს ველიკოდერჟავნიკი ბიჭები, ალქსნისები და მისთანანი ედუარდ შევარდნაძემ ჯერ კიდევ მაშინ ამხილა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგა: თქვენ გახსოვთ მისი ცნობილი სიტყვა — „დიქტატურა მოდის!“), ახლაც იმ ბიჭებმა დაიწყეს შემოტევა, ჯერ მცირე ძალებით, თუნდაც, იმ სიუჟეტით, რომელიც ორი დღის წინათ „ვრემიამ“ გადასცა: აფხაზეთში ათიათასობით დამსვენებელი ჩავიდა (თუმცა ეკრანზე ორი-სამი გაშიშვლებული დედაკაცის მეტი არავინ გამოჩენილა) და, თანაც (მიაქციეთ ყურადღება!) ისინი აფხაზეთში რუსეთის ჩვეულებრივი სამოქალაქო პასპორტებით შევიდნენო.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს საზოგადოებრივი აზრის თანდათან შეჩვევას, რომ მან, ამ აზრმა, აფხაზეთი აღიქვას რუსეთის ტერიტორიად — მასის პრიმიტიულ მსოფლგაგებას სწორედ ასეთი მარტივი „ფაქტებით“ ბომბავენ.

დაიწყეს, მალე უარესს მოვესწრებით...

ეს — ერთი დაჭერილი კურდღელი.

განვაგრძოთ: რამდენი ხანია რუსეთის პრესა თავის მკითხველებს უნერგავს აზრს, რომ ედუარდ შევარდნაძე რუსეთის მტერია (პრეზიდენტ ბუშის შემდეგ პირველი თუ არა, მეორე მაინც). აი, ნინო ბურჯანაძე კი რუსეთის მეგობარი უნდა იყოს და ამის საწინდარია, თუნდაც „მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი“... — წერს „კომერსანტი“.

* **„ამერიკამ აირჩია საქართველოს პრეზიდენტი“, გაზეთი „კომერსანტი“, 2003 წლის 16 ივლისი; „სრ“ № 188.**

იხ. მე-2 გვ.

კადრი



„... ბედის ბორბალი ტრიალებს“.

თამუნა ოხიკიანის ფოტო.

გიხაროდენ!

## ჯერ — გიორგი, ახლა — თორნიკე

— 5 ივლისს მოსკოვიდან გვამცნეს, რომ ჩვენს ვაჟიშვილს აკაკის და რძალს ნინოს მეორე ვაჟი შესძენიათ, — ქუთაისიდან ტელეფონით შეგვეხმიანა ქალბატონი, — პატარასთვის თორნიკე დაურქმევიათ. მათი უფროსი ბიჭი — გიორგი კი ახლა სამი წლისაა. ძალიან ვხარობთ მე და ჩემი მეუღლე ალექსანდრე.

ძვირფასო რედაქცია, გვიხარია, რომ ჩვენი შვილიშვილის დაბადების ამბავსაც ამცნობთ ქვეყანას. დიდი მადლობა ამისათვის.



მეორე შვილს ვულოცავთ აკაკის და ნინოს, ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მედეა და ალექსანდრე მჭედლიძეები, ქუთაისი.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

პარლამენტი

## სხდომა დღეს განახლდება



საქართველოს პრეზიდენტის მიერ 16 ივლისიდან მოწვეული პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დღეს 12 საათზე განახლდება. პარლამენტი კენჭისყრაზე დააყენებს „საარჩევნო კოდექსში“ შესატან ცვლილებებსა და ყველა დონის საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს. დღესვე ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტს წარუდგენს.

საკომიტეტო განხილვების შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტი რიგგარეშე სხდომაზე გავა. საპარლამენტო ოპოზიცია ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს და აცხადებს, რომ სეკვესტრს მხარს არ დაუჭერს.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განუცხადა, დღეისათვის ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტი თითქმის მზად არის, დარჩენილია რამდენიმე საკითხი, თუმცა არც ეს ქმნის პრობლემას.

მისივე მონაცემებით, ძალაში რჩება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეული შეთანხმება საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯების თითქმის 95 მლნ. ლარით შეკვეცის თაობაზე. საშემოსავლო ნაწილში კი ფინანსთა სამინისტრომ დამატებით 38 მლნ. ლარის მობილიზება უნდა შესძლოს.

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება საქართველოს პარლამენტმა 15 აგვისტომდე უნდა მოასწროს.

„ინტერ-პრესი“.

ვიზიტი

## გვეწვევა რუსეთის სათათბიროს დელეგაცია

საქართველოს დღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 6-კაციანი დელეგაცია ეწვევა, რომელსაც რუსეთის ფედერალური საკრებულოს სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ლუკინი უხელმძღვანელებს.

დღესვე დელეგაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიღებს.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე რუსი სტუმრების შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ყველა ფრაქციის ლიდერთან, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან.

„ინტერ-პრესი“.

ინტერპანორამა

**<u>კოალიციის</u> ჯარებმა ერაყის ცენტრალური ნაწილის რაიონებში განხორციელებული ოპერაციების დროს შეიპყრეს 876 კაცი. ოპერაცია „უდაბნოს მორიელის“ განხორციელებისას ამოღებულია დიდძალი იარაღი, კერძოდ, ნაღმტყორცნები და ხელის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები.**



**<u>ბუშინ</u>, გამთენიისას, ქალაქ მოსულის აღმოსავლეთით ამერიკის სამხედრო ქვედანაყოფს ჩასაფრებულმა ერაყელებმა ცეცხლი დაუშინეს. ორი ამერიკელი დაიჭრა, ერთი კი დაიღუპა.**



**<u>ბაღდადში</u> გაიხსნა ზოოპარკი, რომლის ბინადარი მხეცები ნელ-ნელა გამოდიან შოკიდან. აქ ახლა მხოლოდ 80 მხეცია, დანარჩენების დიდი ნაწილი მოროდიორებმა გაიტაცეს, ხოლო მსხვილი მტაცებელი ცხოველები, რომელთაც ხელმრუდებმა ვერ შეჰბედეს, ან შიმშილით დაიხოცნენ, ანდა უკიდურესად არიან დაუძლურებულნი.**



**<u>ხარკოვის</u> ოლქში ჰეპატიტმა სამი მცირეწლოვანი ბავშვი იმსხვერპლა. მეოთხის მდგომარეობა კრიტიკულია. ისინი საავადმყოფოში საკვებით მოწამვლის გამო მოხვდნენ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 191, ორშაბათი, 21 ივლისი, 2003 წელი.

რეაქცია

# კომენტარი იუპიტერისათვის

## რატომ გადმოვბეჭდეთ „კომერსანტიდან“ წერილი საქართველოს შესახებ

(პირველი გვერდიდან)

რუსეთის მტერს ჩაენაცვლება რუსეთში განათლებამიღებული ლიდერი.

ესეც მეორე კურდღელი.

მაგრამ მესამეც რომ განაბულა ჩირგვებში და პირველი ორის, ანუ მთელი წერილის „აღფრთოვანებულ მტკიცებულებებს“ რომ აბითურებს?

ბოლო აბზაცი საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტში (მაშინ, მგონი, ასე ერქვა) მომხდარ კურიოზულ ამბავს აღწერს – სახედრების, როგორც ეგზოტიკური ოთხფეხების ტურისტების მისაზიდად გამოყენების დირექტივის გაცემის ფაქტს.

და რადგან საქართველოში გაზეთის პუბლიკაციებს ქვეტექსტების გაუთვალისწინებლად კითხულობენ, თავს უფლებას მივცემ, მიგანიშნოთ, გნებავთ, აგიხსნათ, რომელი მესამე პოლიტიკური კურდღლის დაჭერას შეეცადა „კომერსანტი“ თავისი ამ პუბლიკაციით.

სწორედ ბოლო აბზაცი ხსნის ამ კვანძს ცინიკური დასკვნით – ნახეთ, ვინ შეარჩია აშშ-მ საქართველოს მომავალ პრეზიდენტადო!

თან – ამერიკამ შეარჩიაო. ქართველებს ვინ ჰკითხაო!

თავისი „გაისწორეს“!

ასეთი ხასიათის წერილები რუსულ გაზეთებში, სამწუხაროდ, არაერთი დაბეჭდილა, მათ შორის, პასკვილები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ (თუნდაც იგორ გიორგაძისა). „საქართველოს რესპუბლიკას“ ამ პუბლიკაციებიდან ზოგიერთი უთარგმნია და გადმოუბეჭდავს, თუ გახსოვთ, ასეთი მინაწერითაც კი: „იბეჭდება საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით“.

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებული იყო და არის, რომ ანტიქართული, ანტიდემოკრატიული ძალების „აზრთა დინების“ ალოგიკურობაში, მათი მწირი ლექსიკით გადმოცემულ „არგუმენტებსა“ და დებულებებში ჩვენი მკითხველები, ჩვენი საზოგადოება უკომენტაროდაც კარგად გაერკვევა.

„კომერსანტის“ ამ წერილის გადმობეჭდვის დროს „საქართველოს რესპუბლიკა“ სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა – ავიღეთ და გადმოვბეჭდეთ.

არავის დაუძალებია.

არ გვქონდა ამის უფლება? აკი თავისუფალი პრესა გვაქვს? თუ დემოკრატია პრეზიდენტისთვის ერთს ნიშნავს, პარლამენტის თავმჯდომარისთვის კი სხვას?

ახლა კი დადგა დრო იმ მეტაფორის გაშიფვრის, ამ წერილის დასაწყისში რომ დაგპირდით.

სიტყვა ეძლევა ანდრეი ვოზნესენსკის:

ß íîæíèöû âçÿë.
È òåíü îáñòðèã.
Ïðåäìåòû â óæàñå
âçìûëè ââåðõ.
×óãóííûé îñòàëñÿ òóç ïèê.
Íîã íèì - êðàñíîé ëóæèöåé -
òóç ÷åðâ.

თუჯის შავი ტუზები სისხლიან გუბეს ტოვებენ, წითელს.

**არმაზ სანებლიძე.**

P. S. **საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენა, – მიაჩნია ჭკვიან ხალხს, – მოკლებულია უნივერსალობას და ადამიანების თანასწორუფლებიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება.**

**ა. ს.**

ინფორმაცია

### სემინარი კავკასიელი ჟურნალისტებისთვის

საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მსურველი კავკასიელი ჟურნალისტებისთვის გერმანიაში ერთკვირიანი სასწავლო-სამეცნიერო სემინარი ჩატარდა. ღონისძიება ბერლინის აკადემიისა და გერმანიის პირველი კანცლერის კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფონდის კავკასიის რეგიონალური წარმომადგენლობის პრეზიდენტმა ლევან იზორიამ განუცხადა, ღონისძიებაში საქართველოდან რვამ, ხოლო აზერბაიჯანიდან ორმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა. სასწავლო-სამეცნიერო შეხვედრებზე მათ საარჩევნო პროცესში ჟურნალისტის როლზე და ამასთან დაკავშირებულ ეთიკურ პრობლემებზე იმსჯელეს.

იგივე საკითხები კავკასიელმა ჟურნალისტებმა და ადენაუერის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის წევრებმა გერმანელ დეპუტატებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრებზეც განიხილეს.

### უკადასტრობა შესყიდვას აფერხებს

გარდაბნის რაიონში მიწის კადასტრის გაჭიანურების გამო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის



კომპანიას (BTCco) მიწის შესყიდვაში შეფერხებები შეექმნა.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიაში განუცხადეს, პრობლემები ძირითადად მიწის მესაკუთრეებთან იქმნება, რომელთა საკუთრებაში სულ 23 ჰექტარი მიწის ფართობია. მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია რაიონში ჯერ არ დასრულებულა. მომზადებულია დოკუმენტაციათა 300 პაკეტი, რომელიც მესაკუთრეებს გადაეცემათ. მიწის კომპენსაციების გაცემა აგვისტოდან უნდა დაიწყოს და სექტემბრის ბოლოს დასრულდეს, – განაცხადეს კომპანიაში.

რაც შეეხება იჯარით გაცემული მიწების შესყიდვას, ამ მხრივ BTCco-ს პრობლემები არ შექმნია. გარდაბანში იჯარით 119 ჰექტარი მიწის ფართობია გაცემული, რომელიც 30 არენდატორს ეკუთვნის.

ამ დროისათვის კომპენსაციის თანხის გადახდა წალკის, თეთრი წყაროს, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მიმდინარეობს. მიწის მესაკუთრეებს მიწისა და მოსავლის კომპენსაციის სახით უკვე 12 მლნ. ლარზე მეტი მიეცათ.

### „მეგვირაბენი“ კვლავ აქტიურობენ

რუსთავის მკაცრი რეჟიმის № 2 კოლონიაში გუშინ გათხრილი გვირაბი აღმოაჩინეს.

აღნიშნული ფაქტის გარემოებების გამოსაძიებლად თბილისიდან რუსთავში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის განყოფილების თანამშრომლები გაემგზავრნენ. ადგილზე მუშაობს კოლონიის უსაფრთხოების სამსახურიც. დაწყებულია მოკვლევა, საქმის დეტალები კი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ლიანა ისაკაძე.**



### ქვეყნისთვის

– გადატვირთული საგასტროლო მარშრუტების შემდეგ, უკვე სამი კვირაა სამშობლოში ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, ვერც აქ მოვახერხე დასვენება და ძალზე ინტენსიურად ჩავერთე ჩვენი კამერული ორკესტრის წინასაფესტივალო სარეპეტიციო მუშაობაში, იმდენად ინტენსიურად, რომ საინფორმაციო გადაცემების თვალის მიდევნებაც კი ვერ მოვასწარი და, ამდენად, ნაკლებად ვარ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი წესრიგშია და პრობლემათა მოგვარების შემდეგ უკეთესობა იქნება მომავალშიც, ისე, როგორც ყველას გვინდა ჩვენი სამშობლოსთვის.

### ჩემთვის პირადად

– ჩემთვისაც, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მუსიკოსებისთვისაც და, ალბათ, საქართველოსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ კვლავაც მოხერხდა უკვე ტრადიციად შერაცხული ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვნების ზეიმის“ გამართვა, რომლის საზეიმო გახსნა ხუთშაბათს შედგა. თვით ეს მოვლენა, ალბათ, მეტყველი ფაქტია იმის თაობაზე, რომ საქართველოში კვლავაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ ცხოვრებას, ხელოვნებას. ცხადია, „ხელოვნების ზეიმი“ წლეულსაც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატრონაჟით, ჭეშმარიტი თანადგომითა და მხარდაჭერით იმართება, ამიტომ დიდ მადლობას მოვახსენებ პირადად ბატონ ედუარდს და მასთან ერთად ჩვენი იდეის ყველა მხარდამჭერს, უწინარესად, რასაკვირველია, მამუკა ხაზარაძეს. ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ხალხისთვის სიამოვნების მინიჭება და თუ ასე გაგრძელდება მომავალშიც, ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ კულტურული ყოფა მომძლავრდება, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტიც კარგი რაკურსით წარმოჩნდება და მეტად განმტკიცდება. ამდენად, გასული კვირა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მეორედ დაიბადა „ხელოვნების ზეიმი“.

პოზიცია

# ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ

## გაუგრძელდეს თუ არა საქართველოს პარლამენტის 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტაციას უფლებამოსილება?

ასეთია, ძირითადად, ის მოტივაცია, რომლის გამოც 1995 და 1999 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა 1992 წელს აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების გაგრძელება „აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე“. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღესაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია რაიმე დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოძებნა ამ გადაწყვეტილების რევიზიისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამის არგუმენტად ნამდვილად ვერ გამოდგება ის, რომ თითქოს აფხაზეთში 1992 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატების ლეგიტიმურობის არავის სჯერა, როგორც ამას აცხადებს ზემოთ ნახსენები კ. ჩოფლიანი, რადგან, თურმე ნუ იტყვით და, 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც „ეს დეპუტაცია არჩეულ იქნა... ჩვენ საქართველოს დიდ ტერიტორიას ვერ ვაკონტროლებდით“ (**„რეზონანსი“**, 1 მაისი, 2003 წ.). უფრო მეტიც, კ. ჩოფლიანის მტკიცებით, ეს არჩევნები კანონიერად იმიტომაც ვერ ჩაითვლება, რომ „ამ ტერიტორიიდან (იგულისხმება აფხაზეთი **– ზ. პ.**) ძალიან ბევრი ადამიანი უკვე სხვა ქვეყნებში იყო წასული. რეალურად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად ქართველები იყვნენ დარჩენილნი. ეს დეპუტაციაც, ფაქტობრივად, ქართულმა მოსახლეობამ აირჩია“.

აქ, რბილად რომ ვთქვათ, სულ ცოტა ორი უზუსტობა მაინც არის: 1. 1992 წლის 11 ოქტომბერს, როდესაც ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, აფხაზეთის უმეტეს ნაწილს – ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი (ეშერის გამოკლებით), ოჩამჩირისა და გალის რაიონები – ქართული მხარე აკონტროლებდა; 2. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზთა (სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ) დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ადგილზე იყო და მონაწილეობდა არჩევნებში. მაგალითისთვის მოვიყვან გულრიფშის რაიონში ჩატარებულ არჩევნებს. აქ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხმის უფლების მქონე 1500-მდე აფხაზიდან დაახლოებით 850-მა; 5000-მდე რუსიდან – დაახლოებით 3200-მა, 12000-მდე სომეხიდან – 10000-ზე მეტმა. არანაკლები იყო არაქართველ ამომრჩეველთა აქტიურობა ოჩამჩირის რაიონში (ზოგიერთი სოფლის გარდა, რომელსაც აფხაზები აკონტროლებდნენ) და, რაც მთავარია, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში – სოხუმში. ერთი სიტყვით, მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, მაშინ მაინც მოხერხდა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება და ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, ხმა მიეცა მისთვის სასურველი კანდიდატებისათვის.

1992 წელს არჩეულ დეპუტატთა ლეგიტიმურობის ხარისხის განსაზღვრისას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებასაც. 1992 წ. 11 ოქტომბრის არჩევნები, როგორც ცნობილია, ჩატარდა ე.წ. „დახურული სიებით“, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთის მე-9 საარჩევნო ოლქი ცალკე იყო გამოყოფილი და არჩევნებში თითოეულ პარტიას, ბლოკს ჰქონდა კონკრეტულ კანდიდატთა სია. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველი ფაქტობრივად ხმას აძლევდა არა ამა თუ იმ პარტიას ან ბლოკს ზოგადად, არამედ კონკრეტულ პიროვნებებს (ისევე როგორც მაჟორიტარ კანდიდატებს), რაც უდავოდ ზრდის მათი ლეგიტიმურობის ხარისხს. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 1992 წლის არჩევნებმა საქართველოს პარლამენტში საკმაოდ სრულად წარმოადგინა ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრი, რაც აღიარებული იქნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

სხვა საკითხია, მოგვწონს თუ არა 1992 წელს არჩეული დეპუტატების საქმიანობა პარლამენტში, აქ პრეტენზიები ნამდვილად შეიძლება გვქონდეს და არა მხოლოდ აფხაზეთის დეპუტაციის მიმართ, მაგრამ ეს არავის არ უნდა აძლევდეს უფლებას, ეჭვქვეშ დააყენოს მათი ლეგიტიმურობა და ფაქტობრივად ამტკიცოს იგივე, რასაც აგერ უკვე 10 წელია გვიკიჟინებენ სეპარატისტები. **დროა, ყველამ გაიგოს, რომ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთში არჩეული ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა) რწმუნებით აღჭურვილი დეპუტაციის ყოფნა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი კაპიტალია, რომელზეც უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი საქმიანობა ყოველთვის მოსაწონი არ არის, სახელმწიფოებრივი ღალატის ტოლფასია,** ვინაიდან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, **ეს ფაქტობრივად იქნება აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის იურიდიული დადასტურების დასაწყისი.**

ასე რომ, მოგვწონს ეს თუ არა, მანამ, სანამ საქართველო არ დაიბრუნებს აფხაზეთს და იქ შესაძლებელი არ გახდება საყოველთაო არჩევნების ჩატარება, რაოდენ არადემოკრატიულიც არ უნდა იყოს ეს, 1992 წელს აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების გაგრძელებას, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ალტერნატივა ნამდვილად არა აქვს. ეს არის ტრაგიკული აუცილებლობა. სხვა გამოსავალი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს.

**ზურაბ პაპასქირი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 190.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

წარსული

№ 191, ორშაბათი, 21 ივლისი, 2003 წელი.



შეხვედრები

ნიკო ბერძენიშვილი

# სტუმრად სტალინთან

მეხუთე-მეექვსე საუკუნეში აზნაურებმა სპარსელები მოიწვიეს და მეფის (ძველი) ხელისუფლება გადააშენეს; მეთერთმეტე საუკუნეში აზნაურებმა ბიზანტიელები მოიწვიეს, ბაგრატ მეოთხემ ლაშქარნი წარმართნი მოიწვია, გიორგი მეთერმეტემ თურქები მოიწვია, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები მოიწვია. ეს არის „მოწვევის ყველაზედ უფრო მკაფიო მაგალითი, რომელიც პრინციპული კამათის საგანი გამხდარა დავითის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის... მომწვევმა დავითმა კი „აღმაშენებლის“ სახელი დაიმკვიდრა“. გიორგი სააკაძემ სპარსელები მოიწვია (და ესეც პრინციპული კამათის საგანი გახდა, მაგრამ აღმაშენებლისაგან განსხვავებით, მაბრალობელთ აქ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ „მოწვეულმა“ შაჰ-აბასმა საქართველო ამოაგდო, მაშინ, როცა დავითმა მოწვეული ყივჩაღებით საქართველო „ააშენა“. ასევე იწვევდნენ გიორგი მესამის წინააღმდეგ აჯანყებულნი თურქებს, ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოში ასეთი მოწვევა ოსმალებისა, მთავრობის თუ თავადების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო (ათაბაგი, გურიელი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, გივი ამილახორი, აბდულა ბეგი, ქსნის ერისთავები, ალექსანდრე ბატონიშვილი ბაქარის ძე, ალექსანდრე მეორე კახთა მეფე, თეიმურაზ, ვახტანგ მეექვსე რუსებს იწვევდნენ არა მხოლოდ ოსმალ-სპარსთა წინააღმდეგ, მით უფრო ერეკლე და სოლომონ პირველი. ორივეს მიზანი იყო „Перекрыть внутреннюю слабость...“ ერეკლეს შორსმჭვრეტელობა აქაც შესამჩნევია: მოსაწვევ ძალას საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით აფასებს და ცდილობს, ეს ძალა სასურველ საზღვრებში ჩააყენოს, რათა მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენოს, ხოლო შესაძლებელი თუ აუცილებლად მოსალოდნელი ზიანი თავიდან აიცილოს. ეს იყო ტრაქტატი. ასე რომ, ერეკლემ უცხო ძალის მოწვევა პრინციპულად დასვა და უაღრესად პრინციპულად გადაწყვიტა. მან რეალურად გაითვალისწინა მოწვევის კარგი და სახიფათო მხარეები... მისი ანდერძის დამცველები ამ საქმეში იყვნენ ლიონიძე, სოლომონ მეორე, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ხოლო მისი ანდერძის განმასახიერებელი — კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ამხ. სტალინი. გიორგი მეცამეტემ მოიწვია... ეს იყო ავადმყოფის უსასოობა...

**ტრაქტატი, ქართული თვალსაზრისით, მოწვეული ძალის საქართველოს სასარგებლოდ ალაგმვა იყო.** ამდენადვე, მისი დარღვევა ამ ძალის აღვირახსნა იყო... მოწვევა დაპყრობად ქცეული — ბოროტება...

როცა ამხ. სტალინი რუსეთის წინაბურჟუაზიულ ცენტრალიზებაზე ლაპარაკობს და ამის ერთ-ერთ მიზეზად (რომელმაც ხელი შეუწყო გაერთიანება-ცენტრალიზების პროცესის დაჩქარებას) საგარეო ხასიათის ფაქტს (მონღოლთაგან თავდაცვის აუცილებლობას) ხედავს, ეს იმ ღრმა რეალურ-ისტორიული ნათელჭვრეტის შედეგად მიღებული დებულებავეა, რომელიც ამხ. სტალინმა არაერთხელ გამოთქვა „–“Ïåðåêðûòü»-ის სახით (წერილი ბოლშაკოვს, საუბრის დროს ჩვენთან) და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ხასიათის ფაქტების გამიჯვნა საშინაო ფაქტებისაგან, საგარეო ფაქტების მოწყვეტა ქვეყნის შინაგანი განვითარებისაგან ისტორიაში შეუძლებელია და უმართებულო, რომ საზოგადოების ისტორია არაა მხოლოდ საშინაო ფაქტების ურთიერთმოქმედების შედეგი, ისევე, როგორც ეს ისტორია არც საგარეო ხასიათის მოვლენათა შედეგია მხოლოდ, რომ საგარეო ხასიათის მოვლენები ისევე ანგარიშგასაწევი გარემოებაა, როგორც საშინაო ხასათის მოვლენები, თუმცა საბოლოოდ განმსაზღვრელი ძირითადი საშინაო ხასიათის მოვლენებია. ამხ. სტალინის ეს დებულება გასაღებს გვაძლევს საქართველოს ისტორიის ერთი ურთულესი საკითხის მართებულად გასაგებად. ეს გახლავთ საკითხი იმის შესახებ, **თუ როგორ უნდა გავიგოთ, ანუ, რას ნიშნავს ფაქტი საქართველოს პოლიტიკური დაშლისა XIII-XV საუკუნეში.** მართლაცდა, ეს იყო ისეთივე მოვლენა, როგორიც იყო დაშლა კიევის რუსეთისა, ე. ი. იყო ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი, რომ საქართველო განვითარების შედეგად, სოციალური წარმატების შედეგად დაიშალა? მაშინ გამოვიდოდა, რომ კიევის რუსეთი უფრო დაწინაურებული ქვეყანა იყო, ვიდრე მეთორმეტე საუკუნის საქართველო, რომ მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნე ჩვენში იყო ადრეული ფეოდალიზმის ხანა...

შესანიშნავია: დავითის ისტორიკოსი მოციქულებრივ საქმედ უთვლის თავის ხელმწიფეს (დავითს) უცხო ქვეყნების დაპყრობას. მზად იყოვო რათამცა ყოველი ქვეყანა შეასაკუთრა ქრისტესაო (ნახე ტექსტი) და ამიტომაც მეორე პავლე იქმნაო... თამარის ისტორიკოსი კი ასეთ რამეს მომხვეჭელობად უთვლის მეფეს (აქ ის დავითს ჰგულისხმობს) და აქებს იმ სამართლიან მეფეს, რომელიც კი არ იპყრობს („შეასაკუთრებს ქრისტეს“), არამედ აღადგენს დაცემულსა და დაგლახაკებულ სახლს (აქ რომ იგივე „წარმართები“ და არა მაინცდამაინც ქრისტიანები იგულისხმებიან, ჩანს ჩამოთვლიდან: სახლი შარვანშეთი, დარუბანდელთა, კარნუქალაქელთა...) და სოლომონივით ბჭედა ზის შორი მათსა... ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორის შეხედულება, ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორისაგან იდეოლოგია ორი ვითარების შესაბამისი...

ორბელები სპარსელებს იწვევენ დემნას აჯანყების დროს გიორგის წინააღმდეგ (რეაქცია).

ორბელების საქციელი მონღოლთა მოსვლისას (გადასვლა, მიყოლა, განდიდება).

სადუნი...

გივი ამილახორი თურქებით...

თეიმურაზ-ერეკლე ყიზილბაშებით...

გიორგი ბრწყინვალე მონღოლებით...

ოსები მეცამეტე საუკუნეში და ქართველი აზნაურობა.

შანშე ერისთავი, მისი ძმისწული ზურაბი და ერეკლე, ქსნის ერისთავის შვილები, ლეკები და ერეკლე.

აბდულაბეგი. ყიზილბაშები და ერეკლე.

ალექსანდრე ბაქარის ძე, ალექსანდრე ამილახვრის ძე, ლეკები და ერეკლე.

გარეშე ძალის გამოყენება კლასობრივ ბრძოლისას:

**უცხო ჯარების დაქირავება** (ბაგრატ მეოთხე).

**უცხო ჯარების მოყვანა, შემოყოლა** (ლიპარიტ).

(სააკაძე).

უცხო მხარეზე დადგომა (დიდი აზნაურები, კახელი გლეხების გალეკება, სოფლელი ერი).

უცხო ბატონობის გამოყენება (მონღოლები, როსტომ ხანი, თეიმურაზი), **პროგრესი, მისი პირობების უზრუნველყოფა — სახელმძღვანელო იდეია.**

პრაქტიკა «Ïåðåêðûòü» ისტორიულ სინამდვილეში. შესაძლებელია არსად სხვაგან ეს პრაქტიკა ასე ხშირად არ მოეხმაროსთ (საკუთარი ეროვნულის ზღვარის დაშლამდე...), როგორც საქართველოში. ქართველის თვალში, ასეთ პირობებში ეროვნული განთვისებულობა **ჩინურ კედლებს** არასოდეს ამოფარებია, თუმცა ქართული პოლიტიკა — ძირითადად, რა თქმა უნდა, — ქართული ეროვნული პრინციპებიდან (რა თქმა უნდა, ფეოდალურად გაგებული), **ქართველობიდან** გამოდიოდა. ასეთ პირობებში შემუშავდა ის განსაცვიფრებელი ელასტიური პოლიტიკა, რომელსაც ასე ბრწყინვალედ მოიხმარდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და რაც რუს პოლიტიკოსებს „Дьяволских дел мастер“-ობად ეჩვენებოდათ (ს. ლეონიძის დახასიათება). ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ერეკლე, გივი ამილახორი, სოლომონ ლიონიძე მარტონი არ იყვნენ (ალბათ გიორგი ბრწყინვალეც ამათი რიგისა იყო). ყველა ესენი თანაბრად მარჯვეთ ხმარობდნენ «Ïåðåêðûòü» პრინციპს ქართველობის დაცვის მიზნით.

მინაღოი, მეორე წიგნში.

სენტენცია: «Íà ýòîì ïðîèøåñòâèè ñ Ñèìîíîì ñëåäóåò ïîó÷èòüñÿ òîìó êàê áûâàåò îïàñíî âìåøèâàòü ÷óæåçåìöåâ â ñâîé äåëà ïîìîùè ñâîå èëè çàùèòû: òóò ÿñíî âèäíî, ÷òî íåò âåùè áîëåå ñîìíèòåëüíîé èëè ãàäàòüëüíîé, ÷åì äîâåðèå ê íèì è îáåùàíèÿ èõ. è ÷òî îíè äåðçêî ïîéäóò íà ëþáîå çëîäåÿíèå, ëèøü áû ïðèñâîèòü ñåáå ÷óæèå âëàäåíèÿ».

«Ïåðåêðûòü»

ჩვენს ისტორიაში ცნობები იმის შესახებ, რომ მეფე თუ ფეოდალები საურთიერთო ბრძოლისას უცხო ძალას მიჰმართავდნენ, არა მცირედი მოიპოვება (ლეონტიდან შემდეგ). პრინციპული დავის საგანიც, როგორც ჩანს, არა ერთხელ გამხდარა ის. უცხო ძალის გამოყენების რამოდენიმე ფორმაა ჩვენში ცნობილი... ერეკლეს ტრაქტატის (მოწვეული ძალის ალაგმვა) პრინციპი მასზედ არა ნაკლებ ჰქონია გათვალისწინებული დავით აღმაშენებელს, როგორც ამას სრულიად საბუთიანად მოწმობს მისი ისტორიკოსი... დავითმა შეისწავლა ყივჩაყები, გაითვალისწინა შესაძლებლობანი, სარგებელი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნისათვის მათ მოწვევას და «×òîáû ïåðåêðûòü âíóòðåííîãî ñëàáîñòü â áîðüáå ñ âíåøíèìè è âíóòðåííèìè âðàãàìè» გადაწყვიტა მათი გამოყვანა, მაგრამ ისე მოაწესრიგა მათი საქმე, რომ ისინი უშიშარნი იყვნენ საქართველოს განვითარებისათვის და მხოლოდ მის გაძლიერებას (შიგნით თუ გარეთ) ემსახურებოდნენ. ამ პრინციპზე დგას ისტორიკოსი: ქვეყნის (საქართველოს) თავისუფლების დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი გაძლიერება (გაერთიანება, განვითარება). ამ პრინციპზე იდგა ერეკლე, ამ პრინციპზე იდგა სააკაძე (მაინცდამაინც ამას ჰგულისხმობენ თბილელი, არჩილი)... მაგრამ იყვნენ მრავალნი, რომელთაც ამ პრინციპისა არა ეცხოთრა: ოსმალეთის მოპატიჟე მთავრები (დადიანები, გურიელები, ათაბაგები), თავადები (ამილახორი, ქსნის ერისთავი, აბაშიძენი, რაჭის ერისთავი)...

ფეოდალური სახელმწიფო.

მტერს მოურიგდება თითო მთავარი (როცა ცენტრი უძლურია).

მტრის მხარეზე გადადის მთავარი (როცა ცენტრი ჯერ კიდევ იბრძვის).

მტერს შემოუძღვის ესა თუ ის მთავარი (და თავისიანებს ებრძვის).

„გვაროვნული წყობილება“ და „უცხო“.

უცხო მოჰყავთ, როცა გვარი დაშლის ტენდენციას იჩენს. ყველაზე მძაფრი ბრძოლები «×òîáû ïåðåêðûòü» აქაა სწორედ... შოლა და შარამაბალა ღუდუშაური... ასევე იშვნენ დადიან-დადეშქელიანები, ყაზბეგები, ჯაფარიძენი...

წმინდა გვაროვნული წყობისას ასეთი საკითხი «Ïåðåêðûòü» არ არსებობს... ის ჩნდება გვაროვნული წყობის რღვევის პროპორციულად. გვაროვნული წყობის ერთეულები ერთი მეორეში არც აირევიან...

მას შემდეგ, რაც გვარის მთლიანობა ირღვევა, მას შემდეგ, რაც კლასები ჩნდებიან ამ ნაძალადევ (კლასობრივ) საზოგადოებაში (წარმოშობით ის ბუნებრივია, ათასი ძაფით გადახლართული ტრადიციით, სარწმუნოებით...) ადვილად ჩნდება ტენდენცია უცხოს მოხმარებისა ამა თუ იმ პირის თუ ჯგუფის მიერ. უცხოც ეხლა ისეთი აღარა ჩანს, როგორც ეს იყო ძველად (გვაროვნული წყობისას) განსაკუთრებით, თუ სარწმუნოებრივი ერთობაც არის, როგორც ეს იყო, ვთქვათ, დასავლეთში).



დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 186, 187, 188. 189.

მსოფლიო შტრიხებში

## მიირთვით, ხელოვნების უძველესი ნიმუშია!



აბა, როგორ წარმოიდგენთ, რომ ისედაც უკვე ხელებწაკვეთილ უმშვენიერეს ვენერა მილოსელს კიდევ რამე მოაჭამონ. დიახ, მოაჭამონ და არა მოატეხონ. მაგრამ იაპონიაში გახსნილ ფერწერისა და არქიტექტურის მუზეუმში ეს თითქმის არავის უკვირს.

ალბათ არც თქვენ გაგიკვირდებოდათ, როცა შეიტყობდით, რომ საუკუნეების მანძილზე სახიფათოდ გადახრილი პიზის კოშკის ეს მცირე ასლი დამზადებულია მაკარონიდან. იაპონელმა მხატვრებმა, ცნობილი ნაწარმოებების ასლებს რომ ქმნიდნენ, მასალად მხოლოდ საკვები პროდუქტები გამოიყენეს.



ბევრი დამთვალიერებელი ძველ ხელოვანთა უძველეს ქმნილებათა ნიმუშების ხილვისას ნერწყვს ვეღარ იკავებს. ეს ბუნებრივიცაა, აქ ხომ უხვადაა გამოყენებული სხვადასხვა სახის მურაბა, შედედებული რძე, კაკაო, ყავა, ღვინო.

აი, თუნდაც მიქელანჯელოს დავითი — მას დედანისაგან ძნელად განასხვავებენ, თუმც მის ხელახლა შესაქმნელად არც მარმარილოა გამოყენებული და არც თაბაშირი, ის მთლიანად დამზადებულია... კარტოფილისაგან, უფრო სწორად, კარტოფილის პიურესაგან, რაც შემდეგ სპეციალური ლაკით დაფარეს.

„ვენერა მილოსელს“ ძალზე თავისებური სუნი აქვს. ნუ გაგიკვირდებათ, მის გამოსაქანდაკებლად ხომ ყველია გამოყენებული. ამიტომაც ძალზე ბევრ დამთვალიერებელს იზიდავს. მნახველები არ აკლია „მონა ლიზასაც“. ალბათ თავად ლეონარდო და ვინჩიც გაკვირდებოდა, როცა მიხვდებოდა, რომ მისი ქმნილების გასალამაზებლად უამრავი ტკბილეულია გამოყენებული.

ისე რომ, დამთვალიერებელთა ცდუნების ძალა ძალზე დიდია, ერთხელ მუზეუმის თანამშრომლებმა სიფხიზლე მოადუნეს და მაიოლევსკის „გაზაფხულს“ მკერდი მოაჭამეს. ის ხომ შოკოლადისაგან იყო გამოძერწილი.



ამ შემთხვევამ მუზეუმის პატრონებს „ჭკუა ასწავლა“ ახლა ფოიეში გახსნილია უფასო ბუფეტი, რათა ხელოვნების ნიმუშები იხსნან გამსუნაგებული დამთვალიერებლების ხელყოფისაგან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გულის ბუხარი

# ფრთხილად, კოლეგებო, საქართველოს მომავალი არ შემოგვაკვდეს!

**დუშილი ხანდახან საჭიროა, მაგრამ ახლა ჩალის ფასი აქვს.**

**დუმილი ყოველთვის არ არის თანხმობის ნიშანი, „მგრგვინავი დუმილიც“ არსებობს და მისი „მესაკუთრე“ ქართველი ხალხის დიდი ნაწილია, მეც — მათ შორის.**

**უფრო ადრე „ვყვიროდი“... ისეთ წერილებს ვწერდი, რომ ზოგი გაქსუებული „კაცია-ადამიანი?!“ ხან მემუქრებოდა, ხან შანტაჟს მიწყობდა, შვილის სიცოცხლით „მეთამაშებოდა“, მესროდა, მაგრამ არ მეშინოდა!**

**„ვყვიროდი“, როცა „რეზონანსის“ ჟურნალისტი მოკლეს გალში, როცა ამავე გაზეთის ჟურნალისტს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა სამართალდამცავებმა სვეტიცხოვლობას, როცა სხვა გაზეთების ჟურნალისტებს სცემეს, მანქანები დაუწვეს...**

**მტკივა უდანაშაულოდ დახვრეტილი ჟურნალისტის დათო ბოლქვაძის ბედი...**

**ტყუილია, როცა წერენ ჟურნალისტებზე, მეოთხე ხელისუფლებააო!**

**არა! ჟურნალისტთა დიდი არმია მშიერია, განსხვავებით პირველი, მეორე და მესამე ხელისუფლებისაგან.**

**საზიზღრობაა, როცა ამბობენ: მეორე უძველესი პროფესიააო ჟურნალისტობა.**

**ჟურნალისტები დროს ასახავენ, სახეებს წარმოაჩენენ... საშინელია, რასაც ზოგჯერ ვხედავთ და ეს არ არის ჟურნალისტების ბრალი, თუმცა არის სხვაც, პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, პასუხისმგებლობა მომავლის, თუნდაც ერთი, ათი საუკუნის შემდგომი საქართველოს წინაშე.**

**სწორედ ამიტომ, დღეს სხვა რამ მინდა ვთქვა. სხვა საქმეზე მინდა ვესაუბრო მკითხველს.**

მძიმეა მდგომარეობა ქვეყანაში თითქმის ყველა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებით თვალშისაცემია ადამიანური ურთიერთობების დეფიციტი. აგრესიული გარემო, აგრესიული ბეჭდვითი და ელექტრონული მედია.

უცნაური ვითარებაა: ვამბობთ, რომ ხალხმა პირი იბრუნა ეკლესიისაკენ, უფლისაკენ, მაგრამ, მაშ, რა ხდება, რატომ არის მკვლელობის, ყაჩაღობის, ადამიანთა გატაცების ასეთი დიდი მასშტაბები?!

რატომ აღარ არის სირცხვილი ლამაზ, მდიდარ და ზნეობრივი ტრადიციებით დატვირთულ ქვეყანაში ბავშვთა პროსტიტუცია და მათხოვრობა, „ცისფერობა“, „ვარდისფერობა“, არაკაცობა და არაქალობა?

რატომ დამკვიდრდა ორმაგი სტანდარტი ყოველდღიურ ცხოვრებაში?

რატომ გაითელა და კვლავ ითელება სინდის-ნამუსის ქუდი?

რატომ არის ხაზინის ქურდი საზოგადოებისთვის „წარჩინებული პერსონა“?

წინ მიდევს გაზეთი „ხვალინდელი დღე“ (14 მაისი, № 90 (249) 2003 წ), პირველივე გვერდზე დიდი ილიას ფონზე „თვალს ვერ გვისწორებენ“ პოლიტიკოსები, სადღაც იყურებიან, არა ილიასკენ, არა ილიასებურად...

„რა გითხრათ, რით გაგახაროთო?“ თავისებური ახსნა აქვს ამ ყველაფერს.

და ამავე გაზეთშია ცნობა „წმინდა თამარ მეფის ხატი მოიპარეს“. დიახ, 14 მაისს, თამარ მეფის ხსენების დღეს, საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრიდან მოუპარავთ წმინდა თამარ მეფის ხატი...

ამის გამკეთებელი ვითომ კომუნისტების ეპოქას „გამოქცეული“ დემოკრატი და რელიგიისკენ შემოტრიალებული კაცია-ადამიანია?!

„აი, „ალია“ (20-21 მაისი, № 57 (1425) 2003 წ.) გალის მეორედ დაცემის 5 წლისთავის წინ საშინელ ინფორმაციას აწვდის ხალხს ზუგდიდიდან: „ქართველმა და აფხაზმა ნაძირალებმა 6 წლის ქართველი გოგონა გააუპატიურეს, მოკლეს და ცხედარი ჩაის პლანტაციაში გადააგდეს“.

მართლა არ ვიცი, ასეთ დროს რა უნდა ქნას ადამიანმა, მაგრამ ადამიანურად უნდა იფიქრო, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! უნდა დაფიქრდე... თუ ნაძირალებს არა აქვთ „ეროვნული შეღლი“, მაშ რა ხდება ზნეობრივი ხალხის თავს?

აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტით უზნეო ხალხმა ისარგებლა, წამოაჯდა ცხვარივით ხალხს ზურგზე და ცხენის მათრახს ურტყამს.

ბოლოს და ბოლოს, აღარ დადგა „ცხვრის გაცხარების“ დრო?

ღაც (?!), მუქარას, შანტაჟს რომ ბედავს. ეს არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, მაგრამ არის სხვაც, რაც ბატონმა მალხაზმაც უნდა იცოდეს და შეიძლება არ იცის. ეს გახლავთ ამ გაზეთის ზოგიერთი (ღმერთმა დაიფაროს ყველა ასეთი იყოს), ჟურნალისტის თუ პასუხისმგებელი მუშაკის უყურადღებობა, გულგრილობა და უპატივცემულობა ადამიანებისადმი, გნებავთ, საკუთარი პროფესიისადმი.

იქნებ ჩაგვეხედა საკუთარ სამყაროშიც და თუ ხმამაღლა არ ვიტყვით, ვიფიქროთ მაინც, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის აგრესია პრესისადმი ზოგჯერ ჟურნალისტებისვე ბრალია, რაზეც, არცთუ იშვიათად, პასუხს გამომცემლები აგებენ, რომლებიც ხშირად წვრილმან ნიუანსებში ჩახედული არ არიან და უსამართლოდ ისჯებიან.

### ვინ და რატომ ემუქრება „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემელს

ისევ მუქარა და ისევ მასმედიის მიმართ. ამჯერად მიზანშია ამოღებული „ჯორჯიან თაიმსი“ და მისი გამომცემელი მალხაზ გულაშვილი. გაკეთდა თავისუფალი პრესის ასოციაციის განცხადება ამის თაობაზე და მეც შემიძლია მოვაწერო მას ხელი, იმის დასტურად, რომ ყოველგვარი ძალადობა უნდა მორჩეს იმ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია!

გავეცანი ბატონ მალხაზ გულაშვილის ინტერვიუსაც. მრავალ საკითხთან ერთად, იგი ღიად აყენებს გაზეთის რედაქტორის ია დანელიას და იმ ჟურნალისტების პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც ამა თუ იმ საკითხს სწავლობენ, მტკიცებულებებს მოიპოვებენ, სტატიებზე ხელს აწერენ. იგი წერს: „დაბეჭდილი სტატიების გამო რომ გაზეთის მფლობელს დაურეკო და განადგურებით დაემუქრო, ეს, სულ მცირე, დანაშაულია... ჩემზე აქცენტის გადმოტანა არასწორია“.

ბევრმა თქვა, ეს სწორი მიდგომა არ არისო, მაგრამ ვეთანხმები ბატონ მალხაზს, აქ საუბარია პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპზე და არა გადაბრალებაზე, ან „ჩაშვებაზე“.

საკითხი არაორაზროვნად დგას. მასმედიაზე ზეწოლა არის და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება სხვადასხვა ფორმით და მეთოდით, მაგრამ ამ ყველაფრისგან თავის დაღწევა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება მაინც შეიძლება. წერილის ავტორი, ჟურნალისტი მართალი უნდა იყოს არა მხოლოდ საკუთარ თავთან, არამედ იმ პირთან, ვისზეც აქვეყნებს მასალას და უპირველესად — ქვეყანასთან!

როცა ეს არ ხდება, იწყება კონფლიქტი, რომელსაც ხშირად დასასრული არა აქვს.

* * *

„ჯორჯიან თაიმსი“ და მისი გამომცემელი საკმაოდ გავლენიანი ძალაა (მარტო ამ ჰოლდინგში შემავალი სტრუქტურების ჩამოთვლა დაგღლის), მაგრამ ემუქრებიან. გამოდის, რომ მათზე „ძლიერია“ ვი-



### ეს უნდა იცოდეს „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემელმა

28 თებერვლის – 6 მარტის (2003 წ.) „ლიტერატურული საქართველო“ 8 მარტის წინ „იებით“ შეეგება მკითხველს. სათაურიც იასავით ნაზი იყო, რაც უჩვეულოდაც კი მომეჩვენა ბატონ თამაზ წივწივაძისგან: „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი იაო“!...

პასუხის პასუხი გახლდათ „ჯორჯიან თაიმსის“ მთავარი რედაქტორის ია დანელიასადმი. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონ იას „ბავშვობის რაინდი“, ბატონი თამაზი მისდამი მიძღვნილ კრიტიკულ წერილს უწუნებს და „ზოგ-ზოგ“ რაღაცაში ედავება.

სიმართლე ვთქვა, მაინც გული მეტკინა, რომ თუ ჟურნალისტი იყო, რად „ვერ შეამჩნია“ ბატონმა თამაზმა, რადგან ქალბატონი ია ცუდად არ წერს და მართლაც ცუდი ჟურნალისტი არ არის, მაგრამ ახლა უფრო მეტად დამწყდა გული, როცა ქალბატონ იას ჟურნალისტობასთან კი არა, ადამიანური ურთიერთობების იგნორირების ფაქტთან პირისპირ დავდექი.

არ ვიცი, შეიძლება ვაზვიადებ (ჩემი ცხოვრების წესის და სიტყვის პატრონობის გამო), მაგრამ მართლა მეტკინა, როცა მივხვდი, რომ იამ ჩამიტარა გაკვეთილი, რომლის შედეგი მძიმეა — აღარ ვენდო ადამიანებს! ეჭვი შევიტანო დანაპირებში, ქმედებაში.

ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო. „ჯორჯიან თაიმსის“ ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი ეწვია საქართველოს პარლამენტის წევრს, დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ოსაძეს. აინტერესებდათ ე. წ. „ვახტანგ ქუთათელაძის საქმე“. ბატონმა მიხეილმა აუხსნა, რომ ეს არ იყო „ქუთათელაძის საქმე“. ჟურნალისტები „ცოტა დაიბნენ“. უთხრეს, რომ მზად არ იყვნენ და კომისიის თავმჯდომარეს საკითხის გარკვევა სთხოვეს.

ბატონმა მიხეილმა ჟურნალისტები დააკვალიანა. აუხსნა, როგორ დაიწყო ამ „საქმის“ წინ წამოწევა პარლამენტის წევრმა ჯუმბერ პატიაშვილმა 2002 წლის ნოემბერში როგორ და რატომ გააკეთა განცხადება უშიშროების სამსახურის მიერ პოლიტიკურ პარტიებში აგენტურული ქსელის გაშლაზე, როგორ დაეწერა საკითხი შესწავლის მიზნით საგამოძიებო კომისიას (პარლამენტი ორი კვირის მანძილზე მსჯელობდა ამ საკითხზე). გადასცა კომისიის დასკვნა და სთხოვა: „დელიკატური საკითხია, ახალგაზრდები ხართ, რაიმე რომ არ შეგეშალოთ, არ მოგერიდოთ, მომმართეთო“.

მადლობის გამოხატვა არ დაზარებიათ ახალგაზრდებს. ბატონ მიხეილს სთხოვეს, თუ მოიცლით, 7 საათზე მოვალთ და წერილის სპეციფიკურ ადგილებს წაგაკითხებთო.

იმ დღეს მნიშვნელოვან ღონისძიებებს უნდა დასწრებოდა ბატონი მიხეილი. ორი გამოტოვა, ერთიდან კი სასწრაფოდ წამოვიდა! „უხერხულია, ახალგაზრდებს ვერ დავაღალატებო“ (!).

7 საათიდან 10 საათამდე საგამოძიებო კომისიის აპარატი სრული შემადგენლობით ელოდა ჟურნალისტებს, შესაძლოა, რომელიმე დოკუმენტი საჭირო გამხდარიყო. გოგონები არ მოვიდნენ!

დავურეკე მთავარ რედაქტორს ია დანელიას. ავუხსენი მდგომარეობა. ვუთხარი, რომ ელემენტარული ქცევის ნორმაა, ადამიანს დაურეკოს ჟურნალისტმა და უთხრას, რომ ვერ მივა...

ქალბატონმა იამ იმ ჟურნალისტების მაგივრად მოიხადა ბოდიში (საქეიფოდ წასულანო), დამეთანხმა, რომ მართლაც „ახლები“ არიან და საჭირო იყო მათი ნაწერის ნახვა, რომ გაზეთში ტყუილები არ გასულიყო.

დავიჯერე. მეორე დღეს წერილის ასლი ქალბატონმა იამ გამომიგზავნა. რა უფლება მქონდა შემეცვალა სათაური, ან წერილის სტრუქტურა, და ეს არც გამიკეთებია, მაგრამ შევასწორე აშკარად არასწორი ფაქტები. ვთქვათ ასეთი: „ეს არ იყო ქუთათელაძის საქმე“, „საქმე ოსაძის კომისიამ კი „არ წამოიკიდა“, ნოზაძის დისკრედიტაცია მოეხდინა, ხაშურის მაჟორიტარობის გამო“ (მართლაც სასაცილო არგუმენტი იყო). საკითხი დააყენა პარლამენტის წევრმა ჯ. პატიაშვილმა და, სხვათა შორის, ბატონ მიხეილ ოსაძის წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტის სხდომამ დაავალა კომისიას (და არა მიხეილ ოსაძეს) საქმის შესწავლა.

იყო სხვა, აშკარად ყალბი ინფორმაციები, რაც გასწორდა.

ქალბატონ იას მეგობრული წერილიც გავუგზავნე. ყოველ ფაქტზე ამომწურავი ინფორმაცია მივეცი.

მადლობას ვუხდიდი ურთიერთთანამშრომლობის სურვილისათვის, იმისათვის რომ გაზეთში ყალბი ფაქტები არ მოხვედრილიყო.

შემდეგ ორჯერ ვესაუბრე ტელეფონით.

მეორე დღეს „ჯორჯიან თაიმსი“ გამოვიდა, რა თქმა უნდა... ჩვენი შენიშვნების გათვალისწინების გარეშე.

ის. მე-6 გვ.

## მსოფლიო შტრიხებში




### ჰარი პოტერს მოკვლას უპირებენ

ნორჩი ჯადოქრის ჰარი პოტერის თავგადასავლების ავტორმა ჯოანა როულინგმა, რომელმაც ესეს არის გამოსცა მე-5 წიგნი, საქვეყნოდ განაცხადა, რომ გამომცემლობებთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით ის კიდევ ორ წიგნს დაწერს, ამ დროისათვის კი თითქმის თექვსმეტ წელს მიღწეული მისი გმირი დაიღუპება.

საგამომცემლო ბიზნესის ექსპერტები დარწმუნებულნი არიან: მწერალმა ქალმა ასეთი საგანგაშო განცხადება იმიტომ გააკეთა, რომ მობეზრდა მისი ბედოვლათი ქმრის მიერ მრავალმილიონიანი ჰონორარების განიავება და უნდა ბოლო ორ წიგნში აღებული ფულით მაინც უზრუნველყოს თავისი მშვიდი სიბერე.

მაგრამ მისცემენ ამის საშუალებას გამომცემლები? მათ ხომ როულინგის განცხადების მეორე დღესვე შესთავაზეს მწერალს კონტრაქტი კიდევ ხუთ წიგნზე, რისთვისაც მას თითოეულზე ავანსად ხუთ მილიონ დოლარს გადაუხდიან, თანაც დაპირდნენ 15 პროცენტს ტირაჟიდან და სასუვენირო გამოცემებიდან.

ჯერჯერობით უცნობია, მოაწერს თუ არა როულინგი ასეთ კონტრაქტს ხელს, ვინაიდან ბევრმა მისმა თაყვანისმცემელმა უკვე უარი თქვა მეხუთე წიგნის შეძენაზეც კი, იმის მომიზეზებით, რომ უკვე იციან, თუ რით დამთავრდება ახალგაზრდა გმირის ცხოვრებისეული გზა და არ უნდათ თავიანთი შვილების დამწუხრება ჰარი პოტერის დაღუპვით. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გადათქვამს თუ არა მწერალი თავის დანაპირებს.

### რობერტ პალადი ნოეს კიდობნის პოვნას აპირებს

ამერიკელი რობერტ პალადი, რომელმაც თავის დროზე აღმოაჩინა ჩაძირული „ტიტანიკი“, 2003 წლის აგვისტოში აპირებს სცადოს ნოეს კიდობნის პოვნა, წერდა ოთხშაბათს ერევნის გაზეთი „აზგი“. ძიების დროს მკვლევარი კიდობნის შესახებ ბიბლიური ისტორიით იხელმძღვანელებს. „პალადის გეგმები უდიდეს ინტერესს იწვევს, რადგან ამ ყოფილ საზღვაო ოფიცერს აქვს ჩაძირული გემების პოვნის მდიდარი გამოცდილება, — აღნიშნავს გაზეთი. — მან შეძლო მოეძებნა ძველი ბერძნებისა და პონტოელების არაერთი ჩაძირული ხომალდი“.

ნოეს კიდობნის ძებნის ამსახველ მომენტებს დააფიქსირებენ ფირზე, რათა შემდეგ იგი გამოიყენონ სპეციალური ფილმის შექმნისათვის.

მართალია, გამოცემა არაფერს იტყობინება მომავალი საძიებო სამუშაოს დეტალების შესახებ, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ექსპედიცია მოეწყობა არარატის მთის რაიონში — სომხეთ-თურქეთის საზღვარზე მდებარე ვულკანურ მასივში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სიბერის ხიბლი

ამ რუბრიკით დღეიდან ჩვენი გაზეთი დროდადრო შემოგთავაზებთ წერილებს, თუ ვინ როგორ ხვდება სიბერეს, რა ხიბლი აქვს მას, ვისთვის რას ნიშნავს ასაკი და, საერთოდ, არის თუ არა ტრაგედია სიბერე.

იმედია, მკითხველები, ისინი, ვისაც სურვილი ექნება ამ მიმართულებით გამოგვეხმაურონ, გაგვიზიარონ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება, მოსაზრებები თუ შეხედულებები, არ დაიზარებენ და მოგვწერენ, სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ. ასევე, შევეცდებით, შეგახვედროთ საინტერესო ცხოვრებაგავლილ ადამიანებს. მათ, ვისაც ამ წუთისოფელში მძიმე ხვედრი ერგოთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, სიბერეშიც არ დაკარგეს ოპტიმიზმი და შემართებით გააგრძელეს ცხოვრება. გვერწმუნეთ, უცილობლად ვიპოვით მათში რაღაც ისეთს, მისაბაძად რომ გამოდგება.

მაშ ასე, დასაწყისისთვის გთავაზობთ რამდენიმე წერილს ხანდაზმულ, მაგრამ სულით ახალგაზრდა ადამიანთა ცხოვრებასა და შეხედულებებზე.

# „წყევლა“, რომლის ასრულებასაც ვნატრობ

**არ ვიცი, ისეთი რა დავუშავე მაშინ ჩემს დიდ ბებიას, მაგრამ გვარიანად რომ დამენთო, კარგად მახსოვს. ისიც ღრმად ჩამრჩა გონებაში, რომ „მომაწყევლა“: დაბერდი ჩემსავითო. მაშინ პატარა ვიყავი და მთელი დღე ვიტირე, ახლა კი, როცა თვითონ ვარ ბებია, მაგრამ სიბერემდე ჯერ კიდევ შორია, ხშირად ვიხსენებ ამ „წყევლას“ და ვნატრობ: ნეტავ, ამისრულდებოდეს!**

ბებიაჩემმა 101 წელიწადი იცოცხლა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არც თვალთ დაკლებია, არც ყურთ, არც რაიმე მძიმე ავადმყოფობას შეუწუხებია. გაჭირვება და უბედურება კი მრავალგზის გადაუტანია, მაგრამ მოწუწუნე, ბუზღუნა, გაბოროტებული და მოშურნე არასოდეს მინახავს. ერთი, რაც მახსოვს, ას წელს მიტანებულს რომ მოვიკითხავდი, მეტყოდა: „რა ვიცი, როგორ ვარ, ამ უდროო დროს წნევამ შემაწუხაო“.

მარუსა ბებიას განსაცვიფრებელ მეხსიერებას, ჭირთათმენასა და ახალგაზრდებისთვის წაკითხულ „ნოტაციებს“ დღესაც იგონებენ ნავთლუღში.

შვიდი შვილის დედა თავისი შთამომავლობის მეოთხე თაობას მოესწრო და ღრმად მოხუცი ახალგაზრდული ცნობიერებით მიიცვალა. რამდენადაც წელთა სიმძიმე მის ფიზიკურ აღნაგობას ეტყობოდა (და ეს, ბუნებრივია, ასეც უნდა ყოფილიყო) იმდენად გულითა და სულით ახალგაზრდა იყო. როცა თავისი ცხოვრების ეპიზოდებს იგონებდა, იტყოდა: ეს გუშღამ იყო, იოაკიმე რომ პატარა მყავდაო. არადა, იოაკიმე პატარა ლამის ოთხმოცი წლის წინათ ჰყავდა და ამბავიც პირველი მსოფლიო თუ სამამულო ომისდროინდელ გაჭირვებას შეეხებოდა.

ახლობლებსა თუ ნაცნობებთან შეხვედრის შემდეგ ზოგ-ზოგიერთებზე იტყოდა: საწყალი, როგორ დაბერებულაო. რომ გავიცინებდით, შენზე ასაკით ბევრად პატარაზე ამას როგორ ამბობო? გვეტყოდა: ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, ვერ ხედავთ, რა ბუზღუნა და მოწუწუნე გამხდარა, აღარც არაფრის სურვილი აქვს და აღარც არაფერი ახარებს, ადამიანი კი სიხარულის უნარს რომ დაკარგავს, გინდ თექვსმეტი წლისა იყოს, უკვე ბებერიაო.

ფიქრობთ, არაფერი უჭირდა? გულიდან დარდი მთლად ამოფერთხილი ჰქონდა და არა ადარდებდა რა? ყველაფრისთვის რომ ხაზი გადაესვა და დავიწყების კიდობანში გადაემახებინა, შვიდ შვილში ერთადერთი ვაჟის იოაკიმეს ადრეულ ასაკში დაკარგვით გაჩენილ იარას მაინც ვერაფერი დაავიწყებდა, მაგრამ ამ ტკივილის სიმძიმით სხვისთვის ცხოვრება გაუსაძლისი არ გაუხდია. იქნებ ამიტომაც არის, რომ დღემდე არ ვიცი, როგორ იამებდა იგი ამ იარას.

სიბერეში ჯანი გულს ებრძვის, გული — ჯანს. მთავარია, სული შეინარჩუნო მხნე, თუ გინდა არ დაძაბუნდეო, იტყოდა ხოლმე.

ცუდია სიბერე? ვკითხე ბოლოს, წელთა სიმრავლით მთლად გამოფიტულს. — ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს, ამაში კაცი მაშინ დარწმუნდება, როცა ღრმა სიბერემდე მივა და სიცოცხლის აღსასრულს თავის განვლილ გზას ხელის მოჩრდილვით გახედავსო, — მიპასუხა. მერე ერთხელ კიდე „მომაწყევლა“: უფალს ვთხოვ, დაბერდე ჩემსავითო და სულ მალე გარდაიცვალა კიდეც.

ნეტამც ამისრულდებოდეს!

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

# „ძნელი ყოფილა, თურმე სიბერე“

**რა არის თქვენთვის სიბერე? ამ შეკითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე ხანდაზმულს, მოხუცები სიამოვნებით დათანხმდნენ ეპასუხათ, თუმცა გვარის დასახელება არ მოისურვეს. სახელი და ასაკი კი არ დაუმალავთ. ჩვენც ასე მოვიხსენიებთ.**

— ჯანმრთელი ვარ, ასაკს არ ვუშინდები, მერე რა, თუ წლები მომემატა? მოგონებები, ჩავლილი ახალგაზრდობა ხომ დარჩა? ჩემს სიბერეს იუმორით ვუყურებ, ეს ძალიან მეხმარება (**76 წლის ბატონი ილია**).

— სიბერე სიმწარეა, უძლური ხარ და აღარც არაფრის იმედი გაქვს. პირიქით, ყოველ დილას იღვიძებ და იცი, რომ ყველაფერი საზრუნავი გაქვს, თბილისში დავიბადე და აქვე დავბერდი, მაგრამ ასე გამწარებული არასოდეს ვყოფილვარ (**70 წლის ქალბატონი ლენა**).

— სიბერე ძალიან ცუდი რამეა. ახლა მეტყვით, რომ ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო, მაგრამ არ არის ასე. მაგალითად, მე ბევრი რამ უკვე აღარ მეხალისება, ცუდი დროა და სიბერეც ცუდი გვაქვს. (**73 წლის ბატონი ვანო**).

— რატომ ამომარჩიეთ? ნუთუ ასე ვგავარ მოხუცს? ყველას ხნიერი ვგონივარ. არადა, 46 წლისა ვარ, ყოველდღე აქ ვზივარ, მზესუმზირას ვყიდი, ჯანმრთელობა აღარ მაქვს, უამრავი სატკივარი მაწუხებს (**48 წლის ქალბატონი იზა**).

— სიმღერა რომაა, ის მახსენდება: „ძნელი ყოფილა თურმე სიბერე, გულო, გაუძელ ტკივილს“. სიბერე გაძლებაა, გული სანამდეც გაუძლებს, ვიცოცხლებ (**70 წლის ბატონი მიშა**).

— ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, სიბერის მოახლოებისა არ მეშინია, იმიტომ, რომ ამ დროში ახალგაზრდა კაცს უფრო უჭირს. მე რომ ახლა ახალგაზრდა ვიყო, რა ვიცი, გავუძლებდი კი იმას, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა უძლებს? იქნებ, მეც ჩამეყო სხვის ჯიბეში ხელი, რა ვიცი. (**67 წლის ბატონი თაზო**).

— სიბერე ჩემთვის მარტოობაა. გარშემო ყველა შემომეფანტა, ნათესავებიცა და ახლობლებიც. მე მარტო დავრჩი. ძალიან ვნანობ, რომ ოჯახი არ შევქმენი, შვილები არ ვიყოლიე, ჯანმრთელობაც ნორმალური მექნებოდა და აღარც მარტოობა შემაწუხებდა (**69 წლის ქალბატონი დალი**).

— ჩემს შვილიშვილს უკვირს, როცა ვამბობ, ბიჭებთან ერთად მივდივარ-მეთქი. რაღა დროს შენი ბიჭობააო? რა ვქნა? ჩემთვის ისევ ბიჭები არიან, გული ისევ ისეთი მაქვს, აბა, რა ვიცი, რა არის სიბერე? ალბათ, ხორცის, სხეულის უძლურება, მეტი არაფერი. თორემ გული და გონება ისევ ახალგაზრდულად მერჩის (**79 წლის ბატონი დავითი**).



„გახსოვს?“. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ესაუბრა
**ნანა ბაიდოშვილი.**

# მთავარია, იცოდე, როგორ იცხოვრო

**ცოცხლობდე — არ ნიშნავს, სუნთქავდე, ეს ნიშნავს — მოქმედებდე. იმ ადამიანმა კი არ იცოცხლა მეტხანს, ვინც მრავალი წლისა მოიყარა, არამედ იმან, ვინც უფრო მეტად იგრძნო სიცოცხლე. ეს სიტყვები მწერალსა და ფილოსოფოს ჟან-ჟაკ რუსოს ეკუთვნის.**

რატომ დამჭირდა მისი მოშველიება? — ალბათ, იმიტომ, მკითხველისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, რომ, მართალია, რთულია, როცა საკუთარ ჭერქვეშ ადგილსამყოფელი ვერ გიპოვია, იძულებული ხარ, სულიერი და მატერიალური საზრდო სხვაგან ეძებო, მტკივნეულია, როცა აღარავისთვის ხარ საჭირო, ხარ სრულიად ზედმეტი, გამოუსადეგარი, მარტოსული, ყველასაგან მიტოვებული, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ხანდაზმულობა ტრაგედია არ არის, მთავარია, იცოდე, როგორ იცხოვრო.

ახლა მე წარმოგიდგენთ „კოლორიტულ პიროვნებას“ — ასეთად იცნობენ 90 წელს მიტანებულ თბილისელ ქალბატონს, პროფესიით პედაგოგს, სამამულო ომის მონაწილეს, უმშვენიერეს მანდილოსანს აზა პაპახჩიანს. იგი წლების განმავლობაში სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის 109-ე საშუალო სკოლაში და მრავალი თაობა აღზარდა.

ქალბატონი აზა ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე ყოფილა, ჯერ კიდევ სამამულო ომის დროს იგი, სკოლის მოსწავლე, დედასთან ერთად მებრძოლებს წინდებს უქსოვდა და ფრონტზე გზავნიდა. წიგნი მუდამ მისი ცხოვრების მეგზური იყო. სტუდენტობის დროს გათხოვდა, შვილის შეძენის სიხარულის გაზიარება ვერც კი მოასწრო, რომ მეუღლე გარდაეცვალა, იმ დღიდან მოკიდებული ეულად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, კერავდა, ქსოვდა. გაზარდა ერთადერთი ვაჟი, რომელზეც მთელს იმედებს ამყარებდა, დააქორწინა, ბავშვიც შეეძინათ, შვილიშვილი რომ შეეძინა, ვაჟი სამხედრო სამსახურში — ავღანეთში გაიწვიეს. სრულიად ჯანმრთელი ომიდან ფეხებმოკვეთილი დაუბრუნდა. რძალმა ხეიბარ ქმართან ცხოვრება აღარ მოისურვა და ოჯახიდან წავიდა. შვილი სამკურნალოდ მოსკოვს გაემგზავრა და იქვე დარჩა საცხოვრებლად. ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა. სიმარტოვე, ნოსტალგია, უიმედობა, და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ, იხსენებს ჩემთან საუბარში ქალბატონი აზა: „...მოხუცი არავის უნდა, დარჩენილ წლებს სიცოცხლეში მიგვითვლიან და ბოლოს სიგარეტის ნამწვივით მოგისვრიან“.



არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასეთი ცხოვრება, რომ არა ერთი ბედნიერი შემთხვევა. აღმაშენებლის პროსპექტზე, იმ უბანში, სადაც ქალბატონი აზა ცხოვრობდა, სათნოების სახლი „კათარზისი“ გაიხსნა. იქაურმა სამყარომ, კეთილი ადამიანების სულგრძელობამ, ჰუმანურმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების საზრისის დაბადებამ და იდეალი მამაკაცის აღმოჩენამ (ეს ამბავი დიდი მოკრძალებით გაგვანდო), მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, უსარგებლო ადამიანიდან ყველასათვის საჭირო ქალბატონად აქცია, ხელი შეუწყო მასში წლების განმავლობაში მიძინებული შესაძლებლობების გაღვივებას.

ამ სახლში დაიბადა იდეა პირველი ლექსის „კათარზისი ჩემი სახლია“ დაწერისა, ამას მოჰყვა, მეორე, მესამე, შემდეგ სიმღერის, პიესის დაბადება, სურვილის გაჩენა სპექტაკლებში მონაწილეობისა, ანსამბლ „ხანდაზმულში“ გაწევრებისა და ა. შ.

ქალბატონი აზა ტანსაცმელს საკუთარი ხელით იკერავს და გემოვნებითაც, არც ფერუმარილი და სამკაულის ტარება ავიწყდება, სუფთა, კოპწია მოხუცი ისეთი მორთულ-მოკაზმული დადის, თითქოს საპატარძლოდ ემზადებაო.

— „კათარზისმა“ სიხარული მაჩუქა, ვერ ვიტყვი, რომ სიბერე კარგია, მიუხედავად იმისა, რომ წლები მომემატება, შევძელი საკუთარ თავში ძალა მომენახა, რწმენა ჩამენერგა და სხვებისთვისაც მაგალითი მიმეცა, — განაცხადა მან.

სწორედ აქ შეხვდა თავისი ცხოვრების მამაკაცს, მეგობარს, რომელიც გვერდში ამოუდგა, გაამხნევა, ანუგეშა და სიყვარულის მარადიულობაში დაარწმუნა. ამიტომაც არის, ქალბატონ აზას შემოქმედებაში, ლექსებსა თუ სიმღერებში ასე მძაფრად სიყვარულის თემა რომ ჭარბობს. „თუ ახალგაზრდობა მქონდა მწარე, სიბერე მაინც მქონდეს ტკბილი“.

რამდენიმე კლიპშიც გადაიღეს, განვლილ წლებს არ ჩაუძირავს, არ დაბეჩავებულა, სიბერეს არ დაუმარცხებია...

**ცხოვრება არაფრად ღირს, მისი ფასი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიხმარ. სიბერე, წელთა სიმრავლე უფლის კანონია, რასაც ჩვენ, ადამიანები, მტკივნეულად განვიცდით, მაგრამ იგი კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც ყველა ჩვენგანს ეწვევა. ქალბატონი აზა საუცხოო მაგალითია ოპტიმიზმის, შემართების, დიდბუნოვნებისა და სულიერი სილამაზის, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ ამქვეყნად.**

**მაია ასაკაშვილი.**

სურათზე: აზა პაპახჩიანი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გულის ბუხარი

# ფრთხილად, კოლეგებო, საქართველოს მომავალი არ შემოგვაკვდეს!

(მეოთხე გვერდიდან)

უფრო მეტიც, მათივე მოგონილი სათაური შეცვლილი იყო და ეწერა: „ვინ გადაარჩინა ოსაძე ციხეს"? ზემოთ „რუბრიკის სახით – „გალია", უფრო ქვემოთ „ნახე, ბიჭო, ნახე..." და ამ ფრაზის ქვემოთ ჟურნალისტების ვინაობა ქეთი და მაიკო ეწერა (გვარებს არ ვასახელებ შეგნებულად).

არ შევუდგები წერილში მოტანილი უამრავი უზუსტობის ჩამოთვლას, რადგან როგორც შემდგომში გაირკვა, ეს მიზნობრივად გაკეთდა, მაგრამ საკითხავი მაინც არის, რა კითხვასაც არ უსვამს რესპონდენტს, რა უფლება აქვს ჟურნალისტს ის გამოაქვეყნოს?

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი გაოცებული კითხულობდა, ვინ არიან ეს ჟურნალისტები, საიდან ამდენი სიცრუეო.

არადა, კითხვა ისეთია, ათი თუ არა, ერთი ტომი მაინც უნდა გქონდეს მტკიცებულებად, რომ გაბედო და ჰკითხო მიხეილ ოსაძეს: „როდესაც თქვენ თბილისის უშიშროების უფროსი იყავით, ირაკლი ბათიაშვილის დავალებით აგენტთა არქივები უნდა გაგენადგურებინათ. თქვენ კი ეს არ გააკეთეთ და არქივები სახლში წაიღეთ, ბათიაშვილს კი მოატყუეთ, რის გამოც ძლივს გადაურჩით ციხეს".

ეს კითხვა დასმული არ ყოფილა. წერილში გამოჩნდა. ბათიაშვილი და ოსაძე ამბობენ, რომ ეს ფაქტი არ ყოფილა. ვინ არის ის მესამე, ვინ „ჩაუჩურჩულა" ახალგაზრდებს, ასე იყოო?

სირცხვილია, სხვა რომ არაფერი.

ამ წერილთან დაკავშირებით ბევრი რამ გავიგეთ, მაგრამ ეს არ არის მთავარი. უფრო მნიშვნელოვანია დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის საკითხი.

ახალგაზრდების „ქეიფი" და ტყუილი...

გენერლის სიტყვა და ლოდინი...

ქალბატონ იას მიერ ოთხი შვილის დაფიცება და სიტყვის გატეხვა...

რა ვიცი, მართლა მეტკინა გული...

იქნებ ამიტომ აღარ მიკვირს ბატონ მალხაზ გულაშვილის, როცა ამბობს, რომ გაზეთს ჰყავს რედაქტორი, წერილს ჰყავს ავტორი და პასუხს ისინი აგებენო... მართლაც!

სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ მასმედიისა და ხალხის გაუცხოვების ფაქტებზე.

უნდა დავფიქრდეთ იმ აგრესიული პოლიტიკის რაობაზე, რომელსაც დღეს ახორციელებენ.

უნდა დავფიქრდეთ, ზოგჯერ ჟურნალისტებიც ხომ არ იძლევიან საფუძველს, რომ ისინი ცუდად მოიხსენიონ, გული ატკინონ, დაამცირონ?

ჟურნალისტიც ჩვეულებრივი მოქალაქეა, ოღონდ უფრო დიდი პასუხისმგებლობის მატარებელი. მას არა აქვს უფლება, გაავრცელოს ყალბი ინფორმაცია, შეურაცხყოს ადამიანები, უწოდოს რაც მოესურვება და „თავი ქუდში" ჰქონდეს მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მხარეს არ ეძლევა საშუალება პასუხისათვის, თუ იქნება და, ჟურნალისტი პასუხზე კვლავ „გამოუცხობს" ახალ პასკვილს.

### არის თუ არა ჯორბენაძე „თეთრხალათიანი მკვლელი"?

მესმის, რომ გაზეთი უნდა გაიყიდოს... ვიცი, რომ ცუდი ამბების მოსასმენად უფროა ორიენტირებული საზოგადოების დიდი ნაწილი, ვიდრე კარგის (ესეც ჩვენი დროის მკვეთრი მახასიათებელი), მაგრამ მარტო მოგება, გაზეთის გაყიდვა არის მთავარი?!

„არის თუ არა ჯორბენაძე „თეთრხალათიანი" მკვლელი"? – წერია დიდი შრიფტით და გაზეთის ნახევარი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სურათს უკავია („ჯორჯიან თაიმსი").

მკვლელი ბრჭყალებშიც არ წერია, რაღაც სხვა რომ იფიქრო.

ეჭვმიტანილი არ უნდა იყოს სახელმწიფო მინისტრი და ისიც შენი გაზეთის, შენი ხალხის მიერ. რა ვქნათ ჩვენ, მკითხველებმა, რომელთაც არ გვინდა ასეთი „პორტრეტი"?

თუ არის, მაშინ რა ხალხი ვართ, რომ ვიტანთ ასეთ „მკვლელებს", ასეთ „მზერას" და ასეთ „თვალებს"?

რა მოგვდის, რა გვემართება?

იმავე გვერდზე: „დაიჭერენ თუ არა ავთანდილ იოსელიანს".

და უფრო ქვემოთ: „ედუარდ კოკოითმა გააფრინა" (სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტი ქართველებს შეურაცხყოფს).

კი ბატონო, კოკოითს თავისი „ოფოფები ჰყავს", მაგრამ ვითომ იმაზე მეტ შეურაცხყოფას გვაყენებს, ვიდრე გაზეთის ეს ნომერი კოკოითის „თავზე დამჯდარი" „მკვლელი „თეთრხალათიანი" სახელმწიფო მინისტრით, „დასაჭერად გამზადებული" ავთანდილ იოსელიანის „გამოჭენებით" და შს მინისტრზე „შემჯდარი" პრესსამსახურის უფროსით?

გააფრენს კიდეც და მეტსაც იზამს. განა არ იკითხავს მსოფლიოს გასაგონად, „ვის შევურიგდე, ვისთან ვიცხოვრო, ამათ ხელში როგორ ჩავაგდო ჩემი ხალხიო" (?!).

გააფრენს, აბა არ გააფრენს კოკოითი? სხვა ნომერში წერია: „რატომ უწოდებენ ავთანდილ ჯორბენაძეს აფთიაქრები მეტსახელად ჯორკაიფს"?

ენას ძვალი ნამდვილად არა აქვს.

### პრეზიდენტის შეურაცხყოფა „მაგარ ბიჭებს" ეადვილებათ...

ვინ არიან ეს მაგარი ბიჭები? გაზეთს ვერ დაემდურები. ეუბნებიან და ისიც წერს, აქვეყნებს იმათ მოსაზრებებს, რომლებმაც პრეზიდენტის კარზე „დიდხანს იბალახეს", მოწველით არ მოიწველეს და „ჯიქნები დაუსკდათ"...

მიკვირს ბატონ ავთანდილ მარგიანისგან და რატომღაც გიორგი ბარამიძე მახსენდება: „იმდენი გაფლანგვა, იმდენი დანაშაულის ფაქტია ავთანდილ მარგიანის წინააღმდეგ, ას კაცს ცოდვად და დანაშაულადაც რომ ეყოფა, მაგრამ პრეზიდენტი იცავს. ნეტა, რა გაუკეთებია იმისთანა, რომ გვაჩერებს?

მახსოვს, როგორ ნერვიულობდა ბატონი ავთანდილი პროკურატურაში წასვლაზე და დაკითხვაზე. ჟურნალისტები გაჰყვნენ და მის დაკითხვას 4-5 საათს უცდიდნენ, რომ ЧП არ მომხდარიყო და არ დაეჭირათ(!).

რა ვიცი, იქნებ, რაღაცაშია „დამნაშავე" პრეზიდენტი? იქნებ ძალიან მომთმენი და მიუხედავად ათასი ბრალდებისა, მაინც გულმოწყალეა? აბა რაშია საქმე, რატომ ამბობს ავთანდილ მარგიანი საქართველოს პრეზიდენტზე, „შევარდნაძემ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო!" („ჯორჯიან თაიმსი").

გააფრენს, აბა არ გააფრენს კოკოითი?

ერთი კარგი სვანის ხუმრობა გამახსენდა...

ავთანდილ მარგიანი ვიცე-პრემიერი იყო. ანეკდოტები მოვუყევი სვანებზე. ბევრი იცინა, მაგრამ მითხრა, ყველაზე ახალი მითხარიო. მეც ვუთხარი: „სვანი და ადამიანი დაძმობილდნენ..." „მერე, მერე? რაღაც კარგი ჩანს", დაინტერესდა (!), მეც გავაგრძელე... „ერთი სვანი და ერთი ადამიანი დაძმობილდნენ"... გვიან მიხვდა...



რა ვიცი, იქნებ დაძმობილდნენ სვანი (მარგიანი) და ადამიანი (შევარდნაძე?).

მარგიანი „ჯორჯიან თაიმსის" 2003 წლის მაისის წერილში წერს: „შევარდნაძისათვის ეს ქვეყანა სამშობლო არაა. საქართველო მაგისთვის საგანია, რომელსაც გაცვლის, გაყიდის, როგორც დასჭირდება".

ერიჰაა! ამაზე უარესს ვერც ოსი და ვერც აფხაზი სეპარატისტები ვერ იტყვიან.

რა დაემართა ავთანდილ მარგიანს?

საოცარია და, ამავე ნომერში ოსი ჟურნალისტები პრეზიდენტ შევარდნაძეს „იცავენ" და წერენ: „საქართველოში სიტყვის თავისუფლება ნებას აძლევს ჟურნალისტს, შევარდნაძე გალანძღონ". ეს ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ არ ვაკეთებთო(?!).

### მართლა ასეთი ცუდები ვართ ქართველები?

„ნათელაშვილი რეციდივისტი და სერიული მკვლელია".

„ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება".

„სახელმწიფო მინისტრმა პრეზიდენტს ენა გამოუყო".

„მიხეილ სააკაშვილი – კრიმინალების მარიონეტი".

„გამყიდველი ნადარეიშვილი".

„ნაგავი გოგიტიძე".

„თბილისის მერმა შეიძლება ვირის აბანო ხეხოს".

„ქვანიას პარაზიტები".

„სააკაშვილების, რჩეულიშვილების, აბაშიძეების, შევარდნაძეების პარაზიტები"...

აცხადებენ ქართული პრესით. გამოდის რომ მთელი ქვეყანა პარაზიტებით ყოფილა სავსე. ამ უბედურებას ვერ შველის გაზეთის განმარტება: „პარაზიტია ორგანიზმი, რომელიც სხვა ორგანიზმის ხარჯზე იკვებება".

რა ვიფიქროთ? პარაზიტია ქართული მედია სხვა ორგანიზმების ხარჯზე რომ იკვებება?

ერთი სიტყვით, საქართველოში გამორჩეული ფიგურებიდან ზოგი რეციდივისტი ყოფილა, ზოგიც სერიული მკვლელი („თეთრხალათიანი მკვლელიც" გამოგვერევია), პარაზიტების სიმრავლით ხომ პირველი ადგილი დაგვიკავებია.

ზოგი გამყიდველი ყოფილა, ზოგი ნაგავი, ზოგი კი მენაგვე... ზოგიც კახპა...

რითი ვაპირებთ საქართველოს გადარჩენას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამშობლოს აყვავებას? ამ პოლიტიკური და ადამიანური კაპიტალით?

შეჩერდით, ხალხო! თუ ასეა, ჩვენ ვინღა ვართ ამ „ქურდებს, მკვლელებს, გამყიდველებს, ნაგვებს და მენაგვეებს, პარაზიტებს" რომ ვემორჩილებით?

„ჩმორიკები", „ვირთხები", „მონები"?

თქვენ თუ გინდათ, იყავით! მე ამაზე თანახმა არა ვარ.

### და მაინც...

იქნებ მართლაც სულელები ვართ ქართველები და არ გვინდა დავიჯეროთ?

იქნებ მართლაც სულელურად ვიქცევით ქართველები, როცა ასე ვანადგურებთ ერთმანეთს, ასეთი ეპითეტებით ვამკობთ დიდსა თუ პატარას. იქამდეც კი მივედით, რომ ქართველის პირიდან გაისმა: „მერე რა, ილია ჭავჭავაძეს დედა სომეხი ჰყავდა"(!).

მადლობა „ჯორჯიან თაიმსს", მის ლიტერატურულ დამატებას „ხომლს" (რედაქტორი თამაზ ტყემალაძე), დავით ანანურს და ჯარჯი ჯოხაძეს, რომელთაც მართლაც დიდი შრიფტით (პატარა შეიძლება ვერ წაიკითხონ (?!). ყველას დასანახად დაწერეს: „მარიამ ბებურიშვილი – ილიას დედა...." ძველი, ქართველი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი, ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული..."

**ისევ ილია! მახსენდება, დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ ბრძანა: „ილია ჭავჭავაძე ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა დაამარცხეს".**

**რა გველოდება ჩვენ? მართლა არ ვიცი. ამიტომ მინდა ხმამაღლა ვიყვირო: „ფრთხილად, ჟურნალისტებო, საქართველოს მომავალი არ შემოგვაკვდეს!!!"**

**ისევ ილია! მისი სურათის ფონზე ახალგაზრდა პოლიტიკოსები ერთხმად აცხადებენ: („ახალი თაობა", 14 მაისი) „დღეს ჩვენ ერთი მტერი გვყავს – პრეზიდენტი შევარდნაძე". (სხვათა შორის, იმ სურათზე ილია ჭავჭავაძე სხვაგან იყურება, ახალგაზრდები – სხვაგან და ეს არ შეიძლება ასე არ იყოს).**

**იქნებ იმიტომ „აფრენენ" კოკოითები, არძინბები, რომ საქართველოს ახალი პოლიტიკოსები ედუარდ შევარდნაძეს თვლიან „ერთადერთ" მტრად და არა მათ!!!**

**ღმერთო, დაიფარე საქართველო! დიდი თამარის ხსენების დღეს საქართველოს პრეზიდენტს რომ №1 მტრად გამოაცხადებ, ვიღაცასთან (!) უნდა იყო წილნაყარი.**

**მაყვალა ბერიანიძე.**

## მსოფლიო შტრიხებში

### მოსკოვი გახდა ევროპის ყველაზე ძვირი ქალაქი

**რუსეთის დედაქალაქი გახდა ყველაზე ძვირი ქალაქი ევროპაში და სიძვირის მხრივ მეორე მსოფლიოში – ტოკიოს შემდეგ.**

**მსოფლიო რეიტინგში რუსეთის დედაქალაქმა მესამე ადგილზე გადასწია იაპონიის ქალაქი ოსაკა. ევროპაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა ჟენევამ, მესამე ადგილი კი ლონდონმა დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. შარშან ლონდონს ამ მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ მეშვიდე ადგილი ეკავა ევროპის ქალაქებს შორის.**

**ცხოვრება ყველაზე „იაფია" პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში, რადგან ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი ამ ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა დოლართან შედარებით. გასულ წელს ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქი იოჰანესბურგი.**

**გამოკვლევის თანახმად, მოსკოვში ცხოვრება 14 პროცენტით ძვირია, ვიდრე ნიუ-იორკში და სამჯერ უფრო ძვირი – ასუნსიონთან შედარებით.**

**ევროპის ყველაზე ძვირი ქალაქების რეიტინგი ასე გამოიყურება: მოსკოვი, ჟენევა, ლონდონი, ციურიხი, სანკტ-პეტერბურგი, ოსლო. ევროკავშირის მრავალ ქალაქში ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი მომატება იმანაც განაპირობა, რომ რეგიონში გაიზარდა ევროს კურსი დოლართან მიმართებაში.**

**ყველაზე „იაფი" რეგიონებია ახალი ზელანდია და ავსტრალია. ამ რეგიონის ერთადერთი ქალაქია სიდნეი, რომელიც სიძვირის მიხედვით პირველ ასეულში მოხვდა.**

**კომპანიის გამოკვლევებში შედარებულია 200 ტიპური საქონლისა და მომსახურების ღირებულება მთელი მსოფლიოს 144 მეგაპოლისში. ტიპურ „საქონელს" კომპანიის ექსპერტები მიაკუთვნებენ ბინის ქირას, ტანსაცმელს, სურსათს, საყოფაცხოვრებო ნივთებს. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ტრანსპორტის ფასი და სხვადასხვა გასართობი დაწესებულების (კინო, თეატრი და ა. შ.) ბილეთების ღირებულება.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი



## მსოფლიო მოგზაურის სტუმრები

**მიმდინარე წლის 2-დან 8 ივლისამდე მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ესტუმრნენ ფრანგი ავტომოგზაურები სამუელ ბლაზეკი, დანი სუდე, ჟერომ ბლონშე, სებასტიან ვერკეხი, შარლოტ ლომბაი, რომლებმაც მის მიმართ დიდი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეს აფრიკაში (ბამაკოში – მალი) შეხვედრისას.**

**ფრანგი სტუმრების საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, ქვეყნის გაცნობასთან ერთად ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობის შედეგების კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის დიდი სურვილია.**



საქართველოში ყოფნისას ფრანგ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ ბათუმის, ფოთის, თბილისის ღირსშესანიშნაობები, ეწვივნენ კახეთს, სადაც მოინახულეს თელავი, წინანდალი, გრემი, სიღნაღი, წმინდა ნინოს მონასტერი, შუამთა, იმოგზაურეს საქართველოს სამხედრო გზაზე, დაათვალიერეს ანანურის ციხესიმაგრე, ჟინვალის წყალსაცავი, ბაზალეთის ტბა.

დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს ფრანგ სტუმრებს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჭადრაკის ისტორიის მუზეუმში, სადაც ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ ლეგენდარულ მოჭადრაკეებს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, მსოფლიო პირველობის ფინალური შეხვედრების მონაწილეს, საჭადრაკო ოლიმპიადების არაერთგზის გამარჯვებულს ნანა ალექსანდრიას, დღევანდელი ქართული ქალთა საჭადრაკო სკოლის შესანიშნავი ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებს მაია ლომინეიშვილს, ანა მათნაძეს, ლელა ჯავახიშვილს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვაჟა შუბლაძეს და სხვ.

ფრანგმა სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მსოფლიო მოგზაურობის შედეგების კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამის მიმართ, გამოთქვეს მზადყოფნა, აქტიურად ჩაებან მის განხორციელებაში. ისინი განსაკუთრებული ინტერესით ელოდებიან მსოფლიო მოგზაურობისადმი მიძღვნილი პირველი წიგნის გამოცემას და დიდი სურვილი აქვთ იგი თარგმნონ ფრანგულ ენაზე, დაბეჭდონ საკმაოდ სოლიდური ტირაჟით, გაავრცელონ თავიანთ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტული წინადადებები აქვთ ფრანგ სტუმრებს მსოფლიო მოგზაურობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ. მათ საქართველოში ყოფნისას უკვე მოამზადეს საიტი მსოფლიო მოგზაურობის შესახებ, რომელსაც საფრანგეთში გაავრცელებენ და სრულ ინფორმაციას მიაწვდიან თანამემამულეებს ჯუმბერ ლეჟავასა და მისი უნიკალური მოგზაურობის შესახებ.

საქართველოში მოგზაურობისას ჯუმბერ ლეჟავასა და მის სტუმრებს თან ახლდა მსოფლიო მოგზაურობის მხარდამჭერი ქიული შარტავას ფონდის პრეზიდენტი რობერტ ღარიბაშვილი, რომელიც თავის კოლეგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო მოგზაურობის შედეგების კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამის განხორციელებაში. ფრანგ სტუმრებს საქართველოს გაცნობასა და მის ტერიტორიაზე მოგზაურობაში აქტიური დახმარება გაუწიეს ფოთის ვიცე-მერმა ნუგზარ კაჭარავამ, კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გოგი მაჩხაშვილმა, გორელებმა ვახტანგ აბუაშვილმა და დიმიტრი გიგაშვილმა, თბილისის ავტოსაგზაო პოლიციის უფროსის მოადგილემ ამირან კაჭახიძემ, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მირიან ყარაულაშვილმა, ხაშურის გამგებელმა ვოვა ჯობაძემ, რაიონის პოლიციის უფროსმა ნუგზარ კურტანიძემ, ხაშურელებმა აკაკი ფხიკაძემ და ლევან ღონღაძემ.

სტუმრებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი თბილისში მსოფლიო მოგზაურობის მუზეუმის შექმნის იდეას და ჯუმბერ ლეჟავას სიმბოლურ საჩუქრად გადასცეს 1984 წელს გამოშვებული „სიტროენის" „Peugeot" მარკის ავტომანქანა.

**მანანა სეფიაშვილი.**



## ქართული საქმის ოსი რაინდი

**ვინ მოთვლის, რამდენი ეროვნების ღირსეულ შვილს დაუცავს ქართული ფეხბურთის ფლაგმანის – თბილისის „დინამოს" სპორტული ღირსება. ერთ-ერთ მათგანს – გურამ ცხოვრებოვს ახლახან 65 წელი შეუსრულდებოდა.**



60-იანი წლების „დინამო" წარმოუდგენელია ამ უაღრესად საიმედო მარცხენა მცველის გარეშე. ქვეყნის 1964 წლის ჩემპიონი თვალთახედვის არედან არც საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელოვან მთავარ მწვრთნელს მიხეილ იაკუშინს გამორჩენია და მას ექვსჯერ მიეცა წითელ მაისურში თავის გამოჩენის საშუალება პოლონეთის, ფინეთის, შვეიცარიის, ბელგარეთის, ავსტრიისა და ჰოლანდიის გუნდებთან გამართულ ოფიციალურ და ამხანაგურ შეხვედრებში...

რამდენიმე დღის წინათ საყვარელი მეგობრის გასახსენებლად და საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები და ტყავის ბურთის ვეტერანები ეროვნულ სტადიონზე ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძის ბიუსტებთან შეიკრიბნენ. ამ სევდანარევ თავყრილობაში მონაწილეობდნენ დინამოელთა სხვადასხვა თაობის მშვენებანი – ვლადიმერ ელოშვილი, მიხეილ პირაევი, ილია მჭედლიშვილი, მოსე დავარაშვილი, ედუარდ დალაქიანი, ზორბეგ ებრალიძე, ბესო მჭედლიშვილი და გურამ ცხოვრებოვის თანაგუნდელები ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, ბორის სიჭინავა და რამაზ ურუშაძე.

**შალვა ქორიძე.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**





## ვითომ შორია პეკინამდე?



**ამ ფოტოდან ათენის 28-ე ოლიმპიურ თამაშებამდე დიდი გზაა გასავლელი, კიდევ უფრო შორსაა პეკინი, სადაც 2008 წლის ზაფხულში მორიგი ოლიმპიადა უნდა გაიმართოს.**

**დავით კარბელაშვილი ჯერ მხოლოდ დათოა, ლიახვზე გაზრდილი ერთი ჩვეულებრივი გორელი ბიჭი, რომელიც ახალ სასწავლო წელს XI კლასის მერხს მიუჯდება. მანამდე კი, თუკი მის ნახვას მოისურვებთ, ნურც დათოს მშობლიურ სოფელში ჩახვალთ, ნურც სადმე აგარაკზე დაუწყებთ ძებნას, – გორის სპორტსკოლის ძიუდოს დარბაზში შეიარეთ, უთუოდ იქ დაგხვდებათ ტატამზე ვარჯიშში გართული, გახვითქული, ერთიანად მწვრთნელისკენ მზერამიპყრობილი – გონებაში ჩაიბეჭდოს მწვრთნელის შეგონებები, არაფერი გამორჩეს, სრულად აითვისოს ძიუდოს მრავალფეროვანი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი.**

დათოს დამრიგებელიც ჩინებული ჰყავს – დავით პავლიაშვილი, რომელიც თავის დროზე ცნობილი მოჭიდავისა და მწვრთნელის ქართლოს პავლიაშვილის შეგირდი იყო. ახლა ორივენი სპორტსკოლის ძიუდოს სექციას თავკაცობენ.

ამ ზაფხულს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1987-88 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

– ჩვენთან, ქართლშიც, დაახლოებით ასეა, როგორც ბრაზილიაში, – ღიმილით ამბობს დავით პავლიაშვილი, – იქ გუნდში მოსული ახალბედა უკვე დასრულებული ფეხბურთელია ქუჩიდან მოყოლილი მდიდარი ტექნიკური ილეთებით. ქართლშიც ვერ ნახავთ სოფელს, რომელსაც ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედანი არ ჰქონდეს. ზოგი კეთილმოწყობილია, ზოგიც კეთილმოუწყობელი, მაგრამ მთავარი ნახერხია, შიგ ამოგანგლული სოფლის ბიჭები, რომლებიც მთელი დღე ერთმანეთთან ჭიდილში ძალას ცდიან, სიჩაუქეს სწავლობენ, სისხარტესაც, ილეთები ხომ თავისით იხვეწება და მდიდრდება.

ქართულ ჭიდაობას, როგორც დისციპლინას, სპორტსკოლაში არ სწავლობენ, მაგრამ ამ ზაფხულს საგარეჯოდან მოწვევა მიიღეს თუ არა – 1987-88 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირადი პირველობა ტარდებაო, მწვრთნელებმა ძიუდოისტებს სასწრაფოდ „კვალიფიკაცია შეუცვალეს" და საგარეჯოში ჩავიდნენ. ოცზე მეტი ქალაქის და რაიონის 122 ჭაბუკი ჩაება შეჯიბრებაში. დათო კარბელაშვილმა (75 კგ) ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა (მათ შორის – ორი სუფთად) და ადრე მოპოვებულ სხვა „წონიან" ჯილდოებს (2000 წ. აზოვისპირეთის პირველობის გამარჯვებული, 1999, 2000, 2002 წლების დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირების პირველი პრიზის მფლობელი და სხვა) ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედალიც მიუმატა.

საგარეჯოდან დაბრუნებულმა ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრო, რომ ახლა გურჯაანში გაემგზავრა ქართულ ჭიდაობაში – ამჯერად ახალგაზრდებს შორის – საქართველოს პირველობაზე. დათომ ასპარეზობა კარგად დაიწყო და კიდევ უფრო ჩინებულად დაასრულა. სამი გამარჯვების შემდეგ, მან ფინალში ხალიჩას ბეჭებით გააკრა თავისი თანაგუნდელი დავით ჭაბუკაშვილი და კვლავ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

კი ვთქვით დასაწყისში – პეკინი შორსააო, მაგრამ ვითომ ძალიან შორსაა?!

**გურამ ვაშაკიძე,**

„სრ" საკ. კორ.

**სურათზე:** დავით კარბელაშვილი.

**ამირან ადამიშვილის** ფოტო.

P. S. **არცთუ** იშვიათად, საქვეყნო საქმისთვის დიდად საზიანოდ, პროვინციული ურთიერთმაამებლობის მსხვერპლი ხდება სპორტსმენი, რომელიც იმაშია „დამნაშავე", რომ იმ ქალაქში არ დაიბადა, სადაც საჭიდაო (გნებავთ, სპორტის ნებისმიერი სახეობის) ტურნირი მიმდინარეობს. ქალაქის თავების, „კრიმების", ფულიანი ხალხის ზეწოლა მსაჯზე თუ მსაჯთა კოლეგიაზე იქითკენაა მიმართული, როგორმე „თავისიანმა" გაიმარჯვოს, თუნდაც იგი მეტოქეს ბევრადაც ჩამოუვარდებოდეს. ასეთმა ორღობის პატრიოტიზმმა ბევრი ნიჭიერი მოზარდი ჩამოაშორა სპორტს. დაუმატეთ ამას გადასწორებულ-გადმოსწორებული დაბადების მოწმობები, სხვა ფიქტიური დოკუმენტები, რომლის წყალობითაც სპორტსმენი ორი და მეტი წლის მანძილზე ერთთავად ერთ ასაკობრივ ჯგუფში გამოდის და „იმარჯვებს", მაგრამ წაადგება კი სასიკეთოდ ეროვნულ სპორტს ასეთი, უკაცრავად, პასუხია, გამარჯვებები?

ინციდენტი მოხდა გურჯაანში და ამის შესახებ გულისტკივილით საუბრობს დავით პავლიაშვილი: ქარელის გუნდმა, რომელიც ტრადიციულად მაღალი კლასის მოჭიდავეებს უზრდის საქართველოს ნაკრებს, შეჯიბრების პირველსავე ეტაპზე ორი შეხვედრა წააგო, თანაც მასპინძლებთან. საერთოდ თავშეკავებულმა ქარელელთა მწვრთნელმა გოგი იმერლიშვილმა შეხვედრის შედეგები მსაჯთა კოლეგიაში გააპროტესტა, მაგრამ – ამაოდ, შემდეგ, კი იმის ნიშნად, რომ დღისით, მზისით ასე სახალხოდ და აშკარად, ასეთ უსამართლობას სჩადიან მსაჯები, გუნდი შეჯიბრებიდან მოხსნა.

გოგი იმერლიშვილის გამართლება არავის მოუვა თავში...

წინა საუკუნის 30-იან წლებში, ლონდონში, საფეხბურთო მატჩის დროს, ინგლისის მეფე, რომელიც მატჩს ესწრებოდა და ერთ-ერთ გუნდს ქომაგობდა, ძლიერ განაწყენდა, როდესაც „მისი" გუნდის კარში მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა. მეფემ მსაჯი თავისთან ლოჟაში იხმო და ეჭვი გამოთქვა პენალტის დანიშვნის სისწორეში. „არა, მეფეო, – განუცხადა მსაჯმა, – პენალტი სწორადაა დანიშნული". მეფე მაინც თავისაზე იდგა და ბოლოს ისიც კი თქვა – მე მეფე ვარო. „მაგრამ მინდორზე მე ვარ მეფე", – უპასუხა მსაჯმა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გასწია.

დიახ, ხელშეუვალია მსაჯი, მაგრამ ერთი უზინარი მსაჯულიც არსებობს, რომელსაც დიდი ილიას სინდისს ეძახდა. აი, ამ მსაჯულს კი მთელი ერთგულებით და პატიოსნებით უნდა ვემსახუროთ, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში საქმე ყველა მიმართულებით წინ წავიდეს.

**გ. ვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## აქეთური, იქეთური



### „რეალიდან“ კი დაითხოვეს, მაგრამ ათზე მეტი შეთავაზება მიიღო

**„რეალის“ ყოფილი კაპიტანი ფერნანდო იერო „სამეფო კლუბიდან“ კი დაითხოვეს, მაგრამ ამ მოკლე ხანში ათზე მეტი შეთავაზება მიიღო ევროპული თუ აზიური გუნდებისაგან.** ყველაზე მომგებიანი მაინც არაბული ქვეყანა ყატარის მიერ შეთავაზებული წინადადებაა: თუ იერო აქ 7 თვის მანძილზე ითამაშებს, მაშინ ანაზღაურების სახით 10 მილიონ ევროს მიიღებს.

### პრეზიდენტმა კუჩმამ ხელი მოაწერა

**როგორც იქნა, საბოლოოდ გადაწყდა გარი კასპაროვისა და ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ რუსლან პონომარიოვის მატჩის საკითხი, რომელიც საჭადრაკო სამყაროში დიდ სიძნელეებს ქმნიდა. საქმე ის არის, რომ სპონსორების უარის გამო მისი მოწყობის რამდენიმე პროექტი ჩაიშალა.**

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერა განკარგულებას „მსოფლიო პირველობაზე მატჩის ჩატარების შესახებ“, ამ განკარგულებით ყალიბდება მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც უხელმძღვანელებს უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი.

კუჩმამ მხარი დაუჭირა ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის წინადადებას კასპაროვ-პონომარიოვის მატჩის 2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იალტაში გამართვის შესახებ.

### ნარკოტიკებს თუ მიმართავ, შენდობას ნუ ელი!

**ინგლისის პრემიერ-ლიგის სპეციალურმა სასამართლომ უარყო ავსტრალიელ მეკარე მარკ ბოსნიჩის აპელაცია მისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ.** ბოსნიჩი დაისაჯა ნარკოტიკების ხმარების გამო. „ჩელსის“ მეკარეს ინგლისში დიდი სახელი კი აქვს, მაგრამ მას ერთხელ კიდევ შეახსენეს: ნარკოტიკებს თუ მიმართავ, შენდობას ნუ ელი!

### მარადონას რეკორდი მოიხსნა

**„ინდეპენდენტეს“ ნახევარმცველი სერხიო ლეონელ იგიუერო ამიერიდან ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია იმათგან, ვინც კი არგენტინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშა.** თავის სადებიუტო მატჩში ესოდენ სახელოვან გუნდში იგიუერომ 15 წლის, 1 თვის და 3 დღის ასაკში ითამაშა.

მანამდე კი, ეს რეკორდი სახელოვან დიეგო მარადონას ეკუთვნოდა. დიეგოს დებიუტი „არგენტინის ხუნიორსის“ შემადგენლობაში 15 წლის, 11 თვისა და 20 დღის ასაკში ჰქონდა.

### ყველაზე ძალიან ძმები კლიჩკოები უყვართ

**როგორც ერთ-ერთი გერმანული სააგენტოს მიერ მოწყობილი გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, ამ ქვეყნის მოსახლეობას ძალიან უყვარს მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე ძმები: ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები. ძმები კარგა ხანია, გე-**



**რმანიაში ცხოვრობენ, თუმცა, ხშირად ჩადიან უკრაინაში.**

ძმები თავის საყვარელ სპორტსმენებად გამოკითხულთა 72,3 პროცენტმა დაასახელა. მეორე ადგილზე არიან მეუღლეები შტეფი გრაფი და ანდრე აგასი, მესამეზე – გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი.

### ფეხბურთელი... 30 მცველით!

**არა გვგონია, ასეთი რამ სადმე სხვაგან მომხდარიყოს. ლიბიის დიქტატორ მუამარ კადაფის ერთ-ერთი ვაჟი ალ-საადი კარგი ფეხბურთელია. ორი სეზონის განმავლობაში მან ლიბიის ჩემპიონატში 25 გოლი გაიტანა, ახლა კი სექტემბრიდან იტალიის „სერია ა“-ში ითამაშებს, საკმაოდ ცნობილ კლუბ „პერუჯას“ შემადგენლობაში, რომელთანაც ივნისში ხელშეკრულება გააფორმა. საკითხავი მხოლოდ ის არის, როგორ უნდა ივარჯიშოს და ითამაშოს ალ-საადიმ კლუბში, როცა მას ყოველთვის ფეხდაფეხ 30 მცველი დაჰყვება!**

რაც შეეხება მის მამას, მუამარ კადაფის, იგი სულ უფრო და უფრო ინტერესდება ევროპის საქმეებით. მან ნიშანში ამოიღო ტურინის ცნობილი კლუბი „იუვენტუსი“ – ლიბიელებმა შეიძინეს „ბებერი ქალბატონის“ აქციების 7,5 პროცენტი. მუამარ კადაფის ერთ-ერთი შვილი „იუვენტუსის“ დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა. კლუბის ფეხბურთელთა მაისურებზე ასახულია კადაფის კომპანია „ტამოილის“ ლოგო.

ახლა ინგლისის პრემიერ-ლიგის ჯერიც დადგა. როგორც ფიქრობენ, კადაფი „ლივერპულის“ ახალი, 60-ათასიანი სტადიონის მშენებლობის მთავარი სპონსორი იქნება. სტადიონი ექსპლუატაციაში 2005 წლიდან გადაეცემა, პროექტის ღირებულება კი 80 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

### თუკი 11 ოქტომბერს რამე დააშავეს

**როგორც უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ოფიციალურად განაცხადა, თუკი 11 ოქტომბერს სტამბოლში თურქეთისა და ინგლისის ნაკრებებს შორის (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩი) შეხვედრისას ინგლისელი გულშემატკივრები რაიმეს დააშავებენ, ამას უსასტიკესი სასჯელი მოჰყვება.** კერძოდ, ინგლისის ნაკრებს ევროპისა და მსოფლიოს უახლოეს ჩემპიონატებში თამაშის უფლება ჩამოერთმევა!

### რა აღარ ხდება?!

**რუსეთის ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში პირდაპირ გასაოცარი ამბავი მოხდა. ამ ქალაქის კლუბ „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამ საფრანგეთში შეუკვეთა მინდვრის ხელოვნური საფარი, რომელიც 200 ათასი დოლარი დაუჯდათ.**

და აი ეს საფარი ჩამოიტანეს, სტადიონზე რულონების სახით ინახავდნენ და დღე-დღეზე მის დაფენას აპირებდნენ. ადგილობრივმა ხულიგნებმა არ დააცალეს: ღამე სტადიონზე შეიპარნენ და ეს ხელოვნური საფარი სულ ნაფლეთებად აქციეს.

### საიდან წარმოდგა ეს „ბექჰემის ფენომენი“?

**ერთმა ინგლისელმა მკვლევარმა დაიწყო „ბექჰემის ფენომენის“ შესწავლა და ამ თემაზე უკვე რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა. ამ წიგნებში მეცნიერი მსჯელობს იმის შესახებ, თუ ბექჰემის პიროვნებაში ერთმანეთს როგორ ჰარმონიულად ერწყმის სპორტი, სახელი და სტილი. ამის გამოა, რომ ბექჰემს ახლა ასეთი დიდი მომხიბლაობა აქვს მთელ მსოფლიოში და მას მრავალ ქვეყანაში პირდაპირ აღმერთებენ. ამასთან, მისი გულშემატკივრების დიდ ნაწილს სულაც არ აინტერესებს ფეხბურთი.**

ექსპერტის აზრით, ამ პოპულარობის მიზეზია სამი ფაქტორი, რო-



მელიც სულაც არ არის დაკავშირებული ფეხბურთთან: 1) მან ძალიან ლამაზი ქორწილი გადაიხადა ცნობილ ვარსკვლავთან; 2) თითქმის არავის აძლევს ინტერვიუს, უტყვი კაცის სახელი აქვს, რამაც გარკვეული მითიც კი შექმნა და 3) აშკარად ეწინააღმდეგება უხეში, გაუნათლებელი ფეხბურთელის სტერეოტიპს.

ამ დღეებში ბექჰემმა მადრიდში გადაღებულ ერთ-ერთ კლიპში რომაელი გლადიატორის როლი შეასრულა (მოქმედება ძველ რომში მიმდინარეობდა). გადაღებებში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, რონალდო და რობერტო კარლოსი.

### ვინ გაწვრთნის „ჩელსის“?

**რუს მილიარდერ რომან აბრამოვიჩს ისეთი მწვრთნელი სურს, ვინც „ჩელსის“ ინგლისის 2003-2004 წლების ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოიყვანს. მაგრამ ვინ არის ასეთი?**

ერთის მხრივ, აბრამოვიჩი „ჩელსის“ ახლანდელ მწვრთნელს, იტალიელ კლაუდიო რანიერის უცხადებს, რომ კმაყოფილია მისი მუშაობით, მეორე მხრივ კი ეძებს რომელიმე უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს.

„რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აბრამოვიჩს უარი უთხრა. მას იმედი აქვს, რომ უკანასკნელ სეზონში „რომას“ დიდი მარცხის შემდეგ, კლუბში მდგომარეობას გამოასწორებს.

უარი თქვა აგრეთვე, შვედმა სვენ-გორან ერიქსონმაც, რომელიც ინგლისის ნაკრებს 2001 წლის თებერვლიდან ხელმძღვანელობს და მისი კონტრაქტი კიდევ სამ წელს უნდა გაგრძელდეს. ერიქსონის ხელფასი წელიწადში 3 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

### 30 აგვისტოს, ლას-ვეგასში

**უკვე მიღწეულია საბოლოო შეთანხმება იმის შესახებ, რომ 30 აგვისტოს კრივის ახლანდელ მექაში – ლას-ვეგასში (აშშ) გაიმართება მატჩი მძიმეწონოსანთა შორის: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაიკ ტაისონი შეებრძოლება ცნობილ სამხრეთაფრიკელ ოსტატ ფრანსუა ბოთას, სწორედ იმას, რომლის შეხვედრაც გიორგი კანდელაკთან წინასწარი მოლაპარაკების მიუხედავად არ შედგა.**

ორივე მეტოქეს პრეტენზია აქვს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე. 14 თვის „შესვენების“ შემდეგ, ამერიკელი მოკრივე, რომელიც სულ ახლახან კინაღამ არ გაეხვია მორიგ ქუჩურ სკანდალში, მაგრამ ამჯერად (!) მოწმეების განცხადებით, მართალი აღმოჩნდა, ემზადება ლენოქს ლუისთან მატჩ-რევანშისათვის. შარშანდელი შეხვედრა ტაისონმა ნოკაუტით წააგო, რაც თავისი არასაკმარისი მომზადებით ახსნა, ახლა კი, საკუთარი განცხადებით, ბევრი ივარჯიშა. რაც შეეხება ბოთას, მასაც არანაკლები ამბიციები აქვს. მას კარგად ახსოვს, რომ ადრინდელ შეხვედრაში ოთხი რაუნდის მანძილზე ქულებით ამარცხებდა ტაისონს, მაგრამ მეხუთეში გაუფრთხილებლად „გაიხსნა“ და შეხვედრაც ნოკაუტით წააგო.

### ერაყელები გასტროლებსაც კი იწყებენ

**ერაყელმა ფეხბურთელებმა განაახლეს თავისი საერთაშორისო კონტაქტები და ამიერიდან აპირებენ მონაწილეობა მიიღონ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში.** დასაწყისისათვის მათ გადაწყვიტეს კონტაქტების აღდგენა მეზობელ კუვეითელებთან. გავიხსენოთ, რომ 13 წლის წინათ ერაყის ჯარები სწორედ ამ პატარა ქვეყანაში შეიჭრნენ.

მატჩი „ბაღდად პოლისსა“ და „ალქუვეითს“ შორის კაიროში გაიმართა და ფრედ დამთავრდა.

### ბლატერი თხოვს და მოუწოდებს

**ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა მოუწოდა ყველა წამყვან ევროპულ**



**საფეხბურთო ქვეყანას, შეამციროს უმაღლეს დივიზიონში მონაწილე კლუბების რაოდენობა.** ეს, პრეზიდენტის აზრით, გადატვირთული საფეხბურთო კალენდრის შეცვლისა და, აქედან გამომდინარე, დადებითი შედეგების მიღწევის საშუალებას მოგვცემს.

### დიახ, დიახ, ასე იყო!

**ახლა, როცა მრავალ ქვეყანაში ფეხბურთელები უზარმაზარ, ზოგჯერ პირდაპირ ზღაპრულ ჰონორარსაც კი იღებენ, უკრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა ასეთი რამ გაიხსენა:**

– 1975 წელს, როცა კიევის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, თითოეულ ფეხბურთელს გადასცეს... 500 დოლარი.

### ხუთწლიანი (თავისებური) პატიმრობა შეღავათებით!

**ბრაზილიურმა სასამართლომ ეროვნული საპარლამენტო კომისიის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა ქვეყნის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, გამოჩენილ სპეციალისტ ვანდერლეი ლუქსემბურგოს. ბრალდების ძირითადი მასალები წარადგინა ლუქსემბურგოს ასისტენტმა რენატა ალვეშმა, რომელიც იმ პერიოდში მისი საყვარელი იყო.**

მაინც რა დააშავა ამ მწვრთნელმა? იგი გადასახადს არ იხდიდა იმ ფეხბურთელების გაყიდვის შემდეგ, რომელთა აგენტადაც თვითონ ითვლებოდა. მწვრთნელი და ამავე დროს აგენტი – სხვა ასეთი შემთხვევა ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს.

ლუქსემბურგო, რომელმაც დაუყოვნებლივ წარადგინა აპელაცია, ახლა ბრაზილიის ჩემპიონატის ლიდერ „კრუზეიროს“ ხელმძღვანელობს. აი, მისი ხუთწლიანი საპატიმრო ვადის ერთი შეღავათი: დღის განმავლობაში ლუქსემბურგოს არ ეკრძალება იმუშაოს მწვრთნელად ან სხვაგან, სადაც სურს. ოღონდ ღამით აუცილებლად უნდა გამოცხადდეს ციხეში და იქ დაიძინოს, დილით ისევ თავისუფალია, ღამის დადგომამდე...

### რატომ ყიდის ჯილდოებს?

**ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდამ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯორჯ ბესტმა, რომელმაც 1968 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა, თავისი ჯილდოების გაყიდვა დაიწყო.**

იგი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელიც იყო და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიც. ორივე ამ ჯილდოში იგი 200-200 ათას დოლარს მოითხოვს. ამავე დროს ჯორჯ ბესტმა უარყო ხმები, რომ თითქოს იგი ამას გაჭირვების გამო აკეთებს:

– პირიქით, ახლა მე სულაც არ მიჭირს. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, მინდა დავხარჯო ეს ფული. რაც შეეხება ჯილდოებს, ისინი სრულიად უსარგებლოდ არიან ბანკში, მტვერი ეყრებათ, სახლში რომ მოვიტანო, აუცილებლად ვინმე მოიპარავს.

### ფიფა კრძალავს სტრიპტიზს

ფიფას აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალითაც ფეხბურთელებს ეკრძალებათ მაისურის გახდა გატანილი გოლის შემდეგ. თუკი ამიერიდან ისინი ასე მოიქცევიან, ყვითელი ბარათებით „დაჯილდოვდებიან“.

### არავითარი დოპინგი!

**როგორც პარიზის „ეკიპი“ იუწყება, პირდაპირ მისასალმებელია ფეხბურთელების მისწრაფება ჯანსაღი ცხოვრებისაკენ, სამართლიანი სპორტისაკენ.**

გაზეთს მოჰყავს ასეთი მაგალითი: კონფედერაციის ამასწინანდელ თასზე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, შეამოწმეს 64 ფეხბურთელი. არც ერთ მათგანს დოპინგის არავითარი კვალი არ აღმოაჩნდა – იუწყება ფიფას მთავარი ექიმი ირჯი დვორაკი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ძიუდო

# და მაინც, შოთა ჩოჩიშვილის ვაჟიაო, ამბობენ

**ხუთიოდე წლის წინათ სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს დავესწარი. ტატამზე მორიგ წყვილს რომ უხმეს, ჩემს გვერდით მჯდომი ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი შეტოკდა. არც გამკვირვებია, რადგან მისი ვაჟი რამაზი საკმაოდ ცნობილ ფალავანს — ტამერლან ტმენოვს ხვდებოდა და, ცხადია, ანერვიულდა სახელოვანი მამა.**

ტრაგიკულად დაიწყო ის ორთაბრძოლა. პირველსავე წამებზე ქართველი ძიუდოისტი საკუთარ ფანდზე წამოეგო და შებოჭვაზე მოჰყვა. ბატონი შოთა ადგილიდან წამოხტა და, უყვირა შვილს. მოულოდნელობისგან დაბნეულმა სიტყვები ვერ გავარჩიე. წამიც და, მოხდა სასწაული, რაც ამგვარ სიტუაციაში ძალზე იშვიათია — რამაზ ჩოჩიშვილი დაუსხლტა მეტოქეს. მერე ვეფხვივით ეძგერა რუსეთელს და 55-ე წამზე ეფექტური ილეთით ბეჭებზე დასცა იგი. იქუხა დარბაზმა, ოლიმპიურ ჩემპიონს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

— ნიჭიერია, მაგრამ სავარჯიშო პირობები არა აქვს, — მითხრა ბატონმა შოთამ შვილზე, — ჩვენ საბჭოთა ნაკრების ქურასა და საერთაშორისო ტურნირებზე ვიწრთობოდით. რამაზს რომ იმგვარი პირობები ჰქონდეს, ჩემზე მეტს მიაღწევდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარგად იცოდა, რასაც ამბობდა. მამის ნათქვამი რამაზ ჩოჩიშვილმა, რომელიც 1975 წლის 14 ნოემბერს არის დაბადებული, არაერთხელ დაადასტურა საქმით.

**ძიუდოში ვარჯიში 7 წლისამ დაიწყო გურამ პაპიტაშვილის ხელმძღვანელობით. დღემდე მასთან და ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელთან იმაღლებს ოსტატობას. პირველ დიდ წარმატებას 1983 წელს მიაღწია — „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 1991 წელს ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე მეორე იყო. საქართველოს ორგზის (1992, 1997 წ. წ.) ჩემპიონია, გაიმარჯვა თბილისის ( 2000, 2001 წ. წ.), მოსკოვის (2000 წ.), ავსტრიის (1999 წ.) და ბელორუსის (1995 წ.) საერთაშორისო ტურნირებზე. დსთ-ს 1995 წლის სპარტაკიადაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, იმავე წელს ახალგაზრდებში ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სამჯერ (1996, 2001 და 2003 წ. წ.) გახდა ევროპის ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. 1999 წელს მსოფლიო უნივერსიადაზე პალმა დე მალიორკაზე მე-2 ადგილი დაიკავა.**

— ძიუდოზე ხუთი წლისა მამამ მიმიყვანა, — მითხრა **რამაზ ჩოჩიშვილმა** ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში თბილისის I ფალავნობა მოიგო, — სერიოზულად ვარჯიში შვიდი წლისამ დავიწყე. იქიდან მოყოლებული ტატამზე ვარ. ერთი ხანობა თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ დიდხანს ვერ გავძელი. ეტყობა, დარბაზის სუნს ვერასდროს შევეელევი.

**— ყველაზე მეტად რომელი ორთაბრძოლა დაგამახსოვრდა?**

— 1996 წელს პირველად ვიასპარეზე დიდების ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც ჰააგამ უმასპინძლა. ნახევარფინალში სახელოვან თურქ ძიუდოისტს — ზელიმ თათაროღლუს შევხვდი. არბიტრები არც კი მიცნობდნენ და, ცხადია, სიმპათიები ჩემი მეტოქისკენ იხრებოდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ მსაჯებმა ორი გდება საერთოდ არ შემიფასეს. ამის მიუხედავად, „ვაზარით“ და „იუკოთი“ ვუგებდი 4 წუთის განმავლობაში 160-კილოიან გოლიათს. გამოუცდელი ვიყავი და უპირატესობა ბოლომდე ვერ შევინარჩუნე — მეხუთე წუთზე თურქმა „იპონით“ მომიგო. ბრინჯაოს მედალს დავჯერდი.

ერთი შეჯიბრებაც მინდა გავიხსენო: 1999 წელს ავსტრიის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მე და ალექსი დავითაშვილი შევხვდით ერთმანეთს. ის ორთაბრძოლა მოვიგე და მაშინვე მამაჩემს დავურეკე. იგი გერმანიაში მკურნალობდა. ისე გაუხარდა ჩემი გამარჯვება, რომ ოპერაციის გაკეთებაც გადაწყვიტა. არადა, მანამდე ორჭოფობდა.

**— ვიცი, რომ შენ და ბატონ შოთას არა მარტო მამა-შვილური, არამედ მეგობრული ურთიერთობაც გაქვთ.**

— მთელი ცხოვრება ასე მოვდივართ, ამიტომ მისი დიდი ხათრი მაქვს, უბრალო უარსაც ვერაფერზე ვეუბნები.

შარშან თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, ფაქტობრივად, ძიუდოს ჩამოვშორდი, მაგრამ მალევე ვიგრძენი, რომ ტატამი მომენატრა. სირცხვილით ვერ ვამხელდი. მშობლის ალღო უტყუარია — მამამ გამომიყვანა მდგომარეობიდან: ჩემი ხათრით ვარჯიშს ხომ არ განაახლებო, მითხრა. გაზაფხულზე ისევ დავუბრუნდი დარბაზს და ორკვირიანი წვრთნის შემდეგ ვარშავის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე ორი შეხვედრა მოვიგე, ორიც წავაგე და მეხუთე ადგილზე გავედი. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბატონი შოთა ხაბარელი კმაყოფილი დარჩა ჩემი ჭიდაობით. ცოტა ადრე რომ დაგეწყო ვარჯიში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება არ აგცდებოდაო, მითხრა. მაშინ ნაკრებში ადგილები უკვე დაჯავშნული იყო: მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი გამოდიოდა, აბსოლუტურში — ახალგაზრდა ზვიად ხანჯალიაშვილი...

*ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ეროვნული ნაკრები ბაკურიანს გაემგზავრა ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. ჩოჩიშვილიც თან გაჰყვა. ერთ-ერთ ვარჯიშზე დავითაშვილმა კუნთი გაიწყვიტა. ნაკრების ხელმძღვანელობა მოულოდნელად არჩევანის წინაშე დადგა: ახალგაზრდა გუჯეჯიანი თუ გამოცდილი ჩოჩიშვილი. შოთა ხაბარელი დიდი პროფესიონალია და ალღომ არც ამჯერად უღალატა — მძიმე წონაში ადგილი უყოყმანოდ ჩოჩიშვილს ანდო.*

— რას ვიფიქრებდი, თითქმის წლინახევრის უვარჯიშებელს ნაკრებში ჩამრიცხავდა თანაც ევროპის ჩემპიონატისთვის, — მითხრა რამაზმა, — ნდობამ პასუხისმგებლობა გამიორკეცა. ინდივიდუალური გრაფიკით შევუდექი ვარჯიშს. შეძლებისდაგვარად აღვიდგინე სპორტული ფორმა. გერმანიაში პირველი შეხვედრა იოლად მოვუგე ინგლისელ მეტოქეს. მეორე ორთაბრძოლა ვან დერ გესტთან წავაგე. ზედიზედ სამი წელიწადია, ჰოლანდიელი ფალავანი ფინალში ჭიდაობს ევროპის ჩემპიონატებზე ალექსანდრ მიხაილინთან და შარშან ოქროს მედალიც მოიპოვა. გესტი ამჯერადაც გავიდა ფინალში, რამაც დამამშვიდებელ ტურნირში გამოსვლის საშუალება მომცა, სადაც ბოსნიელ, იტალიელ და ბულგარელ ძიუდოისტებს ვძლიე და მესამედ მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. ტატამიდან გავედი თუ არა, მაშინვე გორში შევეხმიანე მამას. ტელევიზორში უყურებია ჩემი ჭიდაობისათვის და წარმატება მომილოცა — თურმე, კიდევ შეგძლებიაო მამის გახარებაო, მითხრა.

**— თქვენ ეს ახლაც შეძელით, თბილისის ფალავნობით...**

— კარგი შეჯიბრება იყო. დიდი მადლობა უპირველესად თბილისის მერს ბატონ ვანო ზოდელავას, რომელმაც ამ გაჭირვების ჟამს ასეთი ასპარეზობისათვის გამონახა შესაბამისი სახსრები. ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საუნჯეა და მას გაფრთხილება უნდა. თბილისის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ, ცნობილმა ფალავანმა გურამ საღარაძემ იცის ქართული ჭიდაობის ყადრი, ამიტომ არც გამკვირვებია მისი ინიციატივა. ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა გაიმართოს, რომ მომავალ თაობებს არ დავუკარგოთ ერის საგანძური და ისინი პატრიოტული სულისკვეთებით აღვზარდოთ.

**— თქვენი ბიჭი თუ ჭიდაობს?**

— გიორგი ჯერ ხუთი წლისაა, მაგრამ მიხვრა-მოხვრაში ეტყობა, რომ პაპის ალი-კვალი იზრდება. სწრაფია, მოქმნილი, მიზანსწრაფული. ზედგამოჭრილი მამაჩემია. მე ყველაფერს ვარჯიშით ვაღწევდი, ის კი პაპასავით დიდი ბუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული. ჩემი ხასიათებიდანაც ბევრი რამ აქვს გამოყოლილი. ბავშვობისას ფეხბურთი მიტაცებდა. ახლაც, ჭიდაობას თავი რომ მივანებე, ჩემი ჭკუით, ფეხბურთელობა ვცადე, გორის „დილაში“ ვვარჯიშობდი, აბა, რაღა დროს ჩემი ეგეებია, მაგრამ ბავშვობისდროინდელმა ოცნებამ შემახსენა თავი. დღესაც დიდი გულშემატკივარი ვარ საქართველოს ნაკრებისა, ასევე „ბარსელონას“, „მილანს“ და „მანჩესტერს“ ვქომაგობ. გიორგისაც ძალიან უყვარს ფეხბურთი — საათობით შეუძლია ითამაშოს ბიჭებთან. მართალია, ოჯახური ტრადიციების გამგრძელებლად ვზრდი, მაგრამ ფეხბურთს თუ არჩევს, ხელს არ შევუშლი.

**— თქვენ თავად სამომავლოდ რას აპირებთ?**

— ახლა მონდომებით ვემზადები მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც სექტემბრის მეორე დეკადაში ოსაკა (იაპონია) უმასპინძლებს. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამოვალ. ძლიერ მეტოქეებთან მომიწევს ჭიდილი. მედალზე ვოცნებობ. თუ ეს შევძელი, მერე ელადის ოლიმპიურ თამაშებზეც შეიძლება ფიქრი.

*რამაზ ჩოჩიშვილის სპორტულ კოლექციას არ აკლია ჯილდოები, არც მათ მფლობელს — სახელი და დიდება, მაგრამ რამაზზე რომ ჩამოვარდება საუბარი, მაინც, შოთა ჩოჩიშვილის ვაჟიაო, ამბობენ...*

**ვაჟა დანელია.**







**სურათებზე: რამაზ ჩოჩიშვილი ევროპის ჩემპიონატიდან ხელდამშვენებული დაბრუნდა; თბილისის ფალავანს მერიის თასი თვით ქალაქის თავმა — ვანო ზოდელავამ გადასცა; ფალავნობამდე ერთი ფეხის გამოკვრაღა დამრჩა.**

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

ექო

„საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 7 ივლისის სპორტულ ჩანართში დაიბეჭდა ნაწყვეტები ინტერვიუდან ფიფას ყოფილ პრეზიდენტთან ჟოაო აველანჟთან. ეს ინტერვიუ სრული სახით გამოქვეყნებულია გაზეთ „ტრუდის“ ფურცლებზე.

ინტერვიუ, უდავოდ, საინტერესოა, მაგრამ ჩვენთვის, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის ტკივილიანია არა აველანჟის პასუხი (მასთან პრეტენზია არ გვაქვს), არამედ კითხვა, რომელიც გაზეთ „ტრუდის“ ჟურნალისტმა დაუსვა მას. მხედველობაში გვაქვს შეკითხვა, რომელიც გულისხმობს რუსეთის ნაკრების დამარცხებას „საფეხბურთო ჯუჯებთან“ — ალბანეთთან და საქართველოსთან.

არ ვაპირებ პოლემიკას ამ ჩვენთვის უცნობ ვაიჟურნალისტთან, მით უმეტეს, რომ ვისაც ელემენტარული მეხსიერებაც კი გააჩნია, გაიხსენებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებისა და თასების ისტორიას, გაიხსენებს ნაკრები გუნდების შემადგენლობებს და იმას, რომ წლების მანძილზე ნაკრებს კაპიტნობდნენ მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე, გაიხსენებს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელთა სიებს, გაიხსენებს 1981 წლის 13 მაისს, როცა თბილისის „დინამომ“ იტალიის „რომას“, პორტუგალიის „ბენფიკასა“ და ესპანეთის „ვალენსიას“ მძლეველი იენის „კარლ ცეისი“ დაამარცხა და ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა — ცხადია გახდება ქართული ფეხბურთის მიმართ მსგავსი შეურაცხმყოფელი ეპითეტის მთელი აბსურდულობა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მაინც გადავწყვიტე კიდევ ერთი შტრიხით შევავსო ქართული ფეხბურთის ისედაც მდიდარი ისტორია და შევთავაზო მკითხველს პირად არქივში დაცული მასალების მიმოხილვა ანალიზითა და დასკვნებით. ამ მასალებს პირველად ვაქვეყნებ, ვაპირებდი შემევსო, მაგრამ რაკი რუს ჟურნალისტს ჰგონია, რომ ქართული ფეხბურთი „ჯუჯათა“ თანრიგს განეკუთვნება, ალბათ უმჯობესია გავეცნოთ იმას, რაც თავმოყრილი მაქვს.

# არ ვაჭარბებ: ისინი პირველები იყვნენ!

## საჯარიმო მოედნის გამგებელი

**გამოჩენილი მეკარის, მოსკოველი ლევ იაშინის ერთ-ერთ დადებით თვისებად ერთხმად მიიჩნევენ იმას, რომ იგი თამაშობდა მთელს საჯარიმო მოედანზე. ამასთან, არც კი იხსენებენ იმას, რომ საჯარიმო მოედანზე მეკარის თამაში დღევანდელ ფეხბურთში პირველმა შემოიტანა თბილისის დინამოელმა ალექსანდრე (შურა) დოროხოვმა.**

მოვუსმინოთ ცნობილ მეკარეს ანატოლი აკიმოვს, რომელიც წიგნში „საფეხბურთო მეკარის თამაში“ წერს:

„მაღალი, ძლიერი, ტანადი დოროხოვი... გაბედულად მოქმედებდა მთელს საჯარიმო მოედანზე, გამოირჩეოდა სწრაფი რეაქციით და ბურთის ჩინებული მიღებით“. თან დასძენს, რომ ისევე, როგორც ნიკოლაი ტრუსევიჩი (გახსოვთ, კიევის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს), ასევე დოროხოვიც მინდვრის მოთამაშესავით თამაშობდა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ, რაც სიახლე იყოო მეკარეთა ტაქტიკურ საქმიანობაში.



აკიმოვის შეფასება დაადასტურა, აგრეთვე, ცნობილმა მეკარემ, კიევის „დინამოს “ წევრმა ანტონ იძკოვსკიმ, რომელიც ხუთჯერ იყო დასახელებული საუკეთესო მეკარეთა სამეულში. ინტერვიუში მან განაცხადა: „არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, რომ დოროხოვმა საბჭოთა მეკარეთაგან პირველმა, იაშინზე გაცილებით ადრე დაიწყო თამაში საჯარიმო მოედანზე“.

ასეთი იყო ქართული ფეხბურთის ნოვატორული ბუნება — დოროხოვი ხომ ჩვენთან დაიბადა და ქართული ფეხბურთის წიაღში გაიზარდა.

## ასე მხოლოდ პაიჭაძეს შეეძლო...

**ლეგენდარული ბორის პაიჭაძის თანამედროვე და სპორტული მეტოქე, ცნობილი ფეხბურთელი და კიდევ უფრო გამოჩენილი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი წიგნში „ფეხბურთის მარადიული საიდუმლოება“ წერს:**

„აი, პაიჭაძის თამაშის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ყველა ევროპელი, ტრადიციისამებრ, ბურთს ატარებს და აწვდის ტერფის შიგნითა მხრით (ნაწილით), ხოლო სამხრეთამერიკელები — გარეთა მხრით. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე (წიგნი დაიწერა და გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, — გ. მ.), ხოლო პაიჭაძეს ბავშვობიდან ჰქონდა ათვისებული სხვა ტექნიკა — იგი ბურთს ატარებდა და აწვდიდა მხოლოდ ტერფის გარეთა ნაწილით, რაც იმ დროისათვის ითვლებოდა ორიგინალურად, უჩვეულოდ“.



რას ნიშნავს მაღალი პროფესიონალიზმი! რამდენი რამ დაწერილა პაიჭაძეზე, მაგრამ მისი თამაშის ეს ნიშანდობლივი თვისება იაკუშინის გარდა სხვას არავის შეუნიშნავს.

„მე ყოველდღე ვვარჯიშობ და უპირატესობას ტერფის გარეთა მხრით დარტყმას ვანიჭებ“, — განუცხადა ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა ჟურნალისტებს, რომლებიც დაინტერესდნენ, თუ როგორ ასრულებდა კარლოსი ასეთ აუღებელ და „დამანგრეველი“ ძალის დარტყმებს.

სხვათა შორის, გასულ წელს იტალიის ჩემპიონატში „ლაციო“ — „ინტერის“ მატჩის კომენტირებისას სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ მასლაჩენკომ, რომელიღაც ფეხბურთელის მიმართ შენიშნა, მან საჯარიმო დარტყმა ტერფის გარეთა ნაწილით შეასრულა, რაც არც ისე ხშირად გვხვდებაო.

ჩვენი ბორის პაიჭაძე კი ჯერ კიდევ როდის იყენებდა ამ ტექნიკურ ილეთს!

## პიონერი ბურთის ქუსლით მიწოდებაში

**ქუსლით ბურთის მიწოდება დღეს იშვიათობა არ არის, რასაც მოულოდნელობის ელემენტი შეაქვს საფეხბურთო შეხვედრის მსვლელობაში.**

ეს დღეს, მაგრამ იყო დრო, როცა ქუსლით თამაშს კიდევ უფრო იშვიათად მიმართავდნენ და ამიტომაც, ხაზგასმით აღნიშნავდნენ სპორტულ პრესაში თუ მატჩების კომენტირებისას. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ეს საბჭოთა პერიოდისათვის და შემდეგაც, პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, როცა ამ ილეთის გამოყენებას მიაწერდნენ თუ იხსენებდნენ ცნობილ მოსკოველ ფეხბურთელს ედუარდ სტრელცოვს: „ქუსლით ითამაშა სტრელცოვისებურად“, „ასე თამაშობდა სტრელცოვი“ და ა. შ. ამასთან, სამწუხაროდ, რატომღაც არავის ახსენდებოდა ის ფაქტი, რომ სტრელცოვამდე ქუსლით ბურთის თამაშს ხშირად და თანაც ოსტატურად იყენებდა 50-იანი წლების თბილისელი დინამოელი ანდრო ზაზროევი, რომელიც ამ ტექნიკური ილეთის გამოყენების პიონერად უნდა ჩაითვალოს.

## გვაჩის „მაკრატელა“

**ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებ, რომ ე. წ. „მაკრატელა“ მოდის 1930 წლიდან, როცა მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე გამარჯვებული ურუგვაის ნაკრები გუნდის ნახევარმცველმა, ლეგენდარულმა შავკანიანმა ხოსე ლეანდრო ანდრადემ პირველმა გამოიყენა ეს უცხო ხილი.**

თბილისის დინამოელი ვლადიმერ (გვაჩი) ჯორბენაძე იყო საბჭოთა ფეხბურთელთაგან პირველი, ვინც იყენებდა ამ ტექნიკურ ილეთს. ამიტომაც ფეხბურთის მოყვარულები მხოლოდ „მაკრატელას“ იშვიათად ახსენებდნენ, იტყოდნენ „ჯორბენაძის მაკრატელაო“. მისი მიბაძვით „მაკრატელას“ იყენებდნენ სხვა ქართველი ფეხბურთელებიც, მაგალითისათვის — ოზურგეთელი ვალიკო გეგეშიძე.

ათი სეზონი დაჰყო გვაჩიმ თბილისის „დინამოში“, 80 მატჩი ჩაატარა და ბოლომდე ერთგული დარჩა „მაკრატელასი“.

**გიორგი მახარაძე.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში, I ნაწილი

მას შემდეგ, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ცნობილმა ათლეტმა, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა ძალისმიერ სამჭიდსა და კულტურიზმში გიორგი გორაშვილმა დაამთავრა, სხვა ფაკულტეტების გუნდების მწვრთნელებმა შვებით ამოისუნთქეს, თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა — ნაადრევად. იურიდიულ ფაკულტეტზე მალე 20 წლის **მიხეილ კახნიაშვილი** გამოჩნდა, რომელიც აქტიურად ჩაერთო ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ (გამორჩეულად — კულტურისტთა) ცხოვრებაში. მეტიც — იგი უკვე თსუ-ს ჩემპიონია სიმძიმეების (გირების, ჰანტელების) აწევაში, მისი ფაკულტეტის გუნდი კი მიშას ძალისხმევითა და თავკაცობით მუდამ იმარჯვებს ბაგირის გადაძალვაში.

**დღეს გთავაზობთ მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიშს მიხეილ კახნიაშვილის შესრულებით.**

**1. ღერძზე მიზიდვა საშუალო ჭიდით და შებრუნებული ტაცით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**2. ტრენაჟორის სახელურების მოზიდვა მკერდამდე (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**3. ბიცეპსების ვარჯიში ხელების მონაცვლეობით დგომში (სურ. 3).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**4. იგივე ვარჯიში მუხლზე იდაყვის დაყრდნობით (სურ. 4).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.













გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რუსთავის 55 წლისთავისათვის

# ფესვები

## ჩემი ქალაქის გაზაფხული

**ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, გაზეთ „მეტალურგის“ ახალგაზრდა რედაქტორმა, გადავწყვიტე შევხვედროდი დიდ მამულიშვილებს, ერის კორიფეებს. ასე გავეცანი კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ირაკლი აბაშიძეს, აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძეს, ლადო გუდიაშვილს, ზურაბ ანჯაფარიძეს, ნონა გაფრინდაშვილს და სხვებს, რათა მათი სურვილები და მოლოცვები გადამეცა მეტალურგებისათვის.**

1968 წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, მე და გაზეთის ფოტოკორესპონდენტი რაჟდენ გაბრიჭიძე კოლხურ კოშკში ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ვესტუმრეთ. სანამ ოფიციალურ საქმეზე ვისაუბრებდით, დიდოსტატმა დამასწრო და რუსთაველები მოიკითხა. რასა იქმთ, მეტალურგები როგორ არიან, დიდი ხანია იქით არ ვყოფილვარო.

როგორც შემეძლო, ბატონ კონსტანტინეს მისთვის საინტერესო ინფორმაცია რომ მივაწოდე, მითხრა, ადრე სანადიროდ დავდიოდი. იქ მხოლოდ ჯაგნარი იყო. მგლებისა და ტურების სავანე. ჩვენს დროში ნამდვილად უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთდა, ქართული სიტყვა, თბილისის აღმოსავლეთი კვლავ დაუბრუნდა თავის სამკვიდრებელსო. მერე თბილი მოკითხვა დამაბარა ქარხნის დირექტორთან სოლომონ შარაძენიძესთან, ყველა მეტალურგთან, რუსთაველთან.

ბატონ სოლომონს დიდი მწერლის დანაბარები რომ გადავეცი, წამით შეფიქრიანდა, მერე თავი ასწია და მითხრა, გივი, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ხომ არ დაწერდი ქარხნის ისტორიასო.

მაშინ არ შევპირებივარ.

ერთხელაც, ამერიკელი ჟურნალისტები გვესტუმრნენ. როგორც წესი, ჯერ ქარხანა დავათვალიერებინე, მერე ქალაქი, თან ისიც დავძინე, ეს ყველაფერი ომის შემდგომ წლებში აშენდა-მეთქი. ვერ გეტყვით, განვაცვიფრე თუ არა, მაგრამ როდესაც რუსთავის ციხის მორღვეულ ქონგურებთან შედგნენ, ერთმა მათგანმა თარჯიმანს უთხრა, აკი ახალი ქალაქი აშენდაო, მაშ ეს საიდან გაჩნდა ამ ტყეშიო.

შეცბუნებულმა, როგორც შემეძლო, ავუხსენი, რომ აქ ოდესღაც ქალაქი იყო, მერე მომხდურებმა დაარბიეს, აღგავეს მიწისპირიდან-მეთქი.

შევცბუნდი იმიტომ, რომ რუსთავის წარსულზე თვითონაც ბევრი არა ვუწყოდი რა.

მაშინ მივხვდი, რომ საჭირო იყო უფრო ღრმად მცოდნოდა ჩემი ქალაქის წარსული, მის ფესვებს ჩავწდომოდი, დღევანდელობასაც, ახალი ისტორიაც შემესწავლა და შეძლებისდაგვარად ჩავუღრმავდი გაყვითლებულ ფოლიანტებს.

შემდგომ და შემდგომ, სტუმრები რომ გვეწვეოდნენ, მე მათთვის შემეძლო მეთქვა: დიახ, მეტალურგიული ქარხანა და განახლებული რუსთავის ბიოგრაფია 1944 წლიდან იწყება.

მაგრამ რა იყო დიდი ხნით ადრე?

უძველესი რუსთავის შესახებ არც ისე მრავლად მოიპოვება წერილობითი წყაროები. მაგრამ ძუნწი ცნობებიც კი თვალსაჩინოს ხდის მის დიდ როლსა და მნიშვნელობას სრულიად საქართველოს ცხოვრებაში.

ლეონტი მროველი გვამცნობს: „კახოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსაც აწ ჰქუიან რუსთავი“. ეს არის პირველი წერილობითი წყარო, რაც მე მოვიპოვე.

შემდეგ: „რუსთავი საქართველოს ერთ-ერთი იმ უძველესი ქალაქთაგანია, რომლის სახელი ქართველი ერის წარმოშობიდან, ვიდრე მონღოლთა შემოსევამდე, განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის ისტორიულ ბედ-იღბალთან. საქართველოს ისტორიაში თითქმის არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც რუსთავს გარკვეული როლი არ შეესრულებინოს. იგი საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ იდგა დედათბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭესთან და თავის თავზე იღებდა მომხდურთა პირველ დარტყმებს“. – ეს მაღალი შეფასება უკვე ჩვენს თანამედროვეს, შესანიშნავ მწერალსა და მეისტორიეს, ქვეყნის მატიანეში ღრმად ჩახედულ შემოქმედს დავით მჭედლურს ეკუთვნის.

რუსთავის ისტორიის შესანიშნავ მკვლევარს ლ. ჭილაშვილს წიგნში „რუსთავი“, მითითებული აქვს, რომ „ისტორიული კუთხეთისა და ქალაქ რუსთავის ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. წერილობით წყაროებში ორივე სახელი ერთადაა მინიშნებული. კუხეთი ტრადიციული საისტორიო გადმოცემით კუხოსის – ქართველთა ეთნარქის წილხვდომი ქვეყანაა, რომლის ცენტრსაც რუსთავი წარმოადგენდა“.



ისტორიულად დადგენილია, რომ კუხეთი, ისევე როგორც კახეთი, საქართველოს ერთ-ერთ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც რუსთავის ცენტრით და არაგვის ხეობის აყოლებით საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა.

სხვა სათანადო ისტორიული წყაროებიც ამ ფაქტს არაერთგზის ადასტურებს, თანაც ძვ. წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეზეც მიანიშნებენ.

რა თქმა უნდა, ისიც ცხადია, რომ ძვ. წ. მეოთხე საუკუნეში ქალაქი ერთბაშად არ აღმოცენდებოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები გვარწმუნებენ, რომ აქ ბევრად ადრეულ საუკუნეებში საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა, ალბათ, დიდი საქარავნო გზის სიახლოვე, რომელიც აღმოსავლეთიდან მცხეთის გავლით დასავლეთისაკენ მიემართებოდა, ხელს უწყობდა მის ქალაქად გადაქცევას. თუმცა ამის შესახებ პროფესიონალებმა და ისტორიაში ღრმად ჩახედულებმა უკეთ უწყიან.

მე მინდა, ჩემი მშობლიური ქალაქისთვის კიდევ ერთ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შევეხო, რასაც ისტორიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

ქალაქის განვითარებისათვის განსაკუთრებული მოვლენა არხის გაყვანა იყო, რომელსაც საირიგაციო და სამხედრო-სტრატეგიული როლი ენიჭებოდა. ეს არხი გარს უვლიდა რუსთავის ციხესა და მის მიდამოს. ამ არხის გაყვანას ძვ. წელთაღრიცხვის იმავე მე-4 საუკუნეს მიაკუთვნებენ, რასაც ისტორიკოსი ლ. ჭილაშვილი იმ გარემოებით ხსნის, რომ აქაური მშრალი კლიმატური პირობები გასარწყავიანებას მოითხოვდა.

რუსთავის ციხე.

რამდენჯერაც ვწვევივარ ამ ლიბომორღვეული ციხის ქონგურებს, ყოველთვის განცვიფრებასა და აღტაცებაში მოვსულვარ. მე მის ბურჯებში ვხედავ ჩვენი დიდი წინაპრების უტეხ სულსა და ნებას.

რატომ ჰქვია მას არიშიც, რას ნიშნავს ეს სახელი, საიდან გაჩნდა ის? ბევრი ვეცადე, მცირედი ცნობა მაინც მომეპოვებინა ამ სახელწოდების სადაურობის შესახებ, ნაცნობ ისტორიკოსებსაც ვთხოვე, მაგრამ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხი ვერ მივიღე.

მთავარი მაინც ისაა, რომ ეს ციხე გოლიათი, თავისი საკვირველი შიდა ნაგებობებით, რაც ბოლო წლებში არქეოლოგებმა გამოამზეურეს, ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს ძარღვიანი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ისე კი, ამ ბებერ გოლიათს საინტერესო და რთული აღნაგობა აქვს. მასში ჩართულია ადრეფეოდალური ტიპის ნაგებობათა დეტალები, ამას სპეციალისტები ადასტურებენ, ციხის შიდა ღრმა ფენებში აღმოჩენილია ადრეული რკინის ხანის კერამიკა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ანტიკურ ხანაზე ადრე დუღდა და ჩქეფდა ცხოვრება.

მე ეს რკინის ხანა, ანტიკურზე ადრინდელი ცხოვრება იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც თავი ხალიბთა მემკვიდრედ მიმაჩნია, ხოლო ჩემი თანამედროვე რუსთაველები – კაცობრიობისათვის რკინის კეთების დიდოსტატად, დიდი საქმის გამგრძელებლად.

მე მინდა ისევ ჩემი ქალაქის ისტორიას, იმ დიდ წარსულს მოვეფერო, რომელიც რეალურად გვასაზრდოებს და გვამაღლებს.

თავის დროზე ვახტანგ გორგასალს ქართლის სხვა ქალაქებთან ერთად რუსთავშიც დაუარსებია საეპისკოპოსო კათედრა და მისთვის თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთის დაცვა უბრძანებია.

ლეონტი მროველი უფრო შორს მიდის, იგი რუსთავს მოიხსენიებს იმ ციხე-ქალაქთა შორის, რომელნიც თითქოსდა წინ აღუდგნენ ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილ ლაშქარს. თუმცა ისტორიულად ეს ფაქტი არ დასტურდება, მაგრამ ნათქვამია, უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდებაო... და მაინც ის, რომ რუსთავი იმ მებრძოლ ქალაქთა შორის მოიხსენიება, როგორებიც არიან უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა და სარკინეთი, ეს ბევრ რამეზე ღაღადებს.

ისე, ძალიან ჩამიყოლია მშობლიური ქალაქის ისტორიამ.

ეს ყველაფერი კი იმ ამერიკელი და სხვა უცხოელი კოლეგების ბრალია.

არადა, საქვეყნოდ როგორ არ განვაცხადო, რომ ჩემი ქალაქის, ახლა 55 წლის იუბილეს რომ ვუხდით, ჩამოყალიბების პროცესი ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში დასრულდა.

რადგან ისტორიას, ჩვენი ერის დიდებული წარსულის მატიანეს ყველა ვერ ჩაუღრმავდება, და იმათაც, ვინც მეტ-ნაკლებად იცის, მინდა შევახსენო, რომ რუსთავი ისტორიულ წყაროებში სამი სახელითაა მოხსენიებული: „ბოსტან-ქალაქი“ (ქალაქი ბაღი), „რუსთავი“ (რუს სათავე) და „ნაგები“.

სუფრასთან, თუნდაც წინაპართა სადღეგრძელო, ალბათ, მილიონჯერ თქმულა, და მაინც ისევ და ისევ ხომ ვიმეორებთ.

ამ საიუბილეო დღეებში, ეგებ, რუსთავის წარსული კიდევ ერთხელ გავიხსენოთ.

ჰოდა, აქ დიდი მეისტორიის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ნააზრევიც უნდა შეგახსენოთ: „ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ წიგნის მიხედვით ქართლის ოცდამერვე მეფეს თრდატს, რომლის მოღვაწეობა ახალი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეების მიჯნაზე ივარაუდება, აუშენებია ეკლესია და აღუდგენია რუ, ანუ არხი. ამ პერიოდიდან რუსთავი უკვე ითვლება მსხვილ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად“.

როგორც იქნა, გადმოვლახეთ შორეული საუკუნეები, რუსთავი ახალი წელთაღრიცხვით უფრო მნიშვნელოვანი ქალაქი ხდება, ამისი არა ერთი თვალსაჩინო მაგალითი იკვეთება.

სამწუხაროდ, სწორუპოვარი მეფის, ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდგომ მას სპარსელები ეუფლებიან. „და აიყარა მუნით სპარსთა მეფე და ჩადგა რუსთავს“, – წუხს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე.

მაგრამ, ხდება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – VII საუკუნის დასასრულს, გრიგოლ მთავრის დროს, კახეთ-კუხეთი ერთიანდება და რუსთავი კახეთის მფლობელობაში გადადის.

რუსთავი საქართველოს აღმოსავლეთი ფარი და მახვილია.

კიდევ რამდენიმე შტრიხი და...

XI საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ. როგორც ყოველთვის, მტერს ამჯერადაც პირველი რუსთაველი მეციხოვნენი აღუდგნენ წინ.

რვაასი წლის წინათ დიდმა დავითმა თავისი მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი უსარდლა ძლევამოსილ ლაშქარს და რუსთავი თურქ-სელჩუკთაგან გაათავისუფლა.

ერთი ამოსუნთქვა კი ამოისუნთქა...

ეს იყო საქართველოს დიდების წლები.

და ბოლოს, ყველაზე დიდი უბედურება 1265 წელს დაატყდა რუსთავს. ბერქასა და აღბუღას, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ყაენებს შორის ატეხილმა ომმა რუსთავის თავზე ქარიშხლად გადაიარა და წელში გატეხა. „გამოსვლისა ბერქა ყაენისა მოოხრდა, და აწცა არს ოხერ“ – წუხდა ვახუშტი.

შემდეგ?

შემდეგ მოვიდა 1944 წელი.

შუალედი დიდია – ჯაგნარის ძაძით შემოსვისა, ტურა-მგელთა თარეშისა, ქარის თუ გრიგალის ბობოქრობისა.

და მაინც, მოვიდა 1944 წელი...

**გივი ჯახუა.**

## „სიცილის ღმერთი უხვია“

### ქალის ხასიათი

ქალი, კანი რო ასკდება, ეძახის კარგი გარეგნობის ჩასხმულ მამაკაცს:

– მეზობელო, მეზობელო! რას ფიქრობ შენ ჩემზე?

– იმასვე, რასაც შენ ჩემზეო...

– მერედა, არა გრცხვენია, მაგისთანა რამე უნდა იფიქრო მეზობელზე? – დაანამუსა ქალმა.

### პიკულა

ნოდარ ახალკაციევით ჩადგმული კაცი ჰყვება:

– პიკულას იცნობთ? იღლიამდე ძლივსა მწვდება, წოწოლა თავი, კოტიტა თითები და სქელი ფეხები აქვს, მაგრამ ეს შობელძაღლი სუფრის კომბაინია, ამას წინათ ერთ სუფრაზე ვიყავით.

პიკულა ჩემ გვერდით იჯდა და შუა ნადიმზე ცოტა ხნის გასვლის შემდეგ თამადამ თქვა:

– ეს სადღეგრძელო ფეხზე ადგომით უნდა დაილიოსო! ავდექით. პიკულა, რომ ადგა, ჩემზე მაღალი ჩანდა. მე ქვემოდან ვუყურებ. ძირს დავიხედე – პიკულა ხაშლამის ძვლებზე იდგა...

### გიორგი ცოცანიძის ნაამბობი

მეთხუთმეტე წელში ვარ გადამდგარი. ტანად კი ვარ პატარა, მაგრამ მეათე კლასელისთვის საკმაო სიმაღლე მაქვს. მოვდივარ ალვენის გზაზე სკოლიდან. ულვაშის ღერებს ვითვლი საულვაშეზე. საპირისპიროდ ერთი ჩემხელა ლამაზი გოგონა მოდის. კიდევ უფრო ამშვენებს თეთრი ბაფთა და ლამაზი კაბა. უკან მოსდევს მხარზე ხურჯინგადაკიდებული, კომბალიანი კაცი. ალბათ, მამა.

რო დავუახლოვდი, სამჯერ მივიფარე ცალ თვალზე ხელი და ამ გოგოს ვუყურებ. მიუბრუნდა და მამას ეუბნება:

– მამი, აგე, ის ბიჭი თვალს მიკრავს!

– შენ გაიარე, გოგო, და მაგანა ჭუტოი თვალი...

და გზა გააგრძელა.

მოკლედ, არაფრადაც არ ჩამაგდო... დავიბოღმე, მა რა იქნებოდა.

### თინი

ერთ კაცს დააღამდა სოფელში. მიმასპინძლეო, – უთხრა შემხვედრს. წამოდიო. სოფლის ფული მაქვს ასი ათასი მანეთი და არ დამეკარგოსო. მე რა ვიცი, იქნებ, მაგდენი არა გაქვს და ხვალ რომ მომთხოვო, რა ვქნაო. დავითვალოთო. მეზობლებს დავუძახებო. დაუძახა სამ კაცს (სიკოს, ნიკოს, გიგოს). მოვიდნენ, დათვალეს, ასი ათასია.

მოუკრეს ტომარას პირი და ქუდი ჭერსა ჰკრეს.

დილით რომ ადგა სტუმარი, ცხენი შეკაზმა და მასპინძელს სთხოვა – ჩემი ფულიო. იმან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რა მომაბარე, რასა მთხოვო? – მეზობლებთან ერთად ფული რომ დათვალე, იმასო. დაუძახა სამივეს – ეს კაცი ასი ათას მანეთს მთხოვს და მოწმეებად თქვენ გასახელებთო. სამივემ ცივი უარი თქვა: ერთმა – წელიწადია შინ არ ვყოფილვარო, მეორემ – ავად ვიყავიო, მესამემ – ნადირობიდან ამ დილას დავბრუნდიო...

წავიდა სტუმარი გულმოკლული და გაჯავრებული...

სოფელს რომ გასცდა, მასპინძელი დაეწია და თავისი ხურჯინი ცხენზე შეუგდო.

სტუმარს ძალიან გაუკვირდა: ან წართმევა რა იყო, ან მოცემა რა არიო?

– მინდოდა დარწმუნებულიყავ, რა უსინდისო მეზობლებში მიხდება ცხოვრებაო, – უპასუხა მასპინძელმა.

### ბოჩოლას სიცილი

ბავშვობაში ერთი დაგლეჯილ-დაფხრეწილი შარვალი მეცვა და გოგოებს რომ ველაპარაკებოდი, ხელებს ვიფარებდი ტიტველა ხორცებზე. მამაჩემს ვუთხარი: – რა არი, არა გრცხვენიათ, ეგრე როდემდე ვიარო, რასა ვგავარ-მეთქი?

– ინდე, შვილო, ბოჩოლა გაყიდე და იმით ჩაიცვი და დაიხურეო.

წავიყვანე ბაზარზე ბოჩოლა, მაგრამ ცარიელა ნეკნები იყო და ვინც ნახა, წლოვანებას მეკითხებოდა. ტუჩს უბრუნებდნენ, რათა კბილებზე შეეტყოთ. იმ კვირას არ გაიყიდა, არც იმ თვეს, თუმცა ყოველ კვირას დამყავდა ბაზარზე. მერე ეს ბოჩოლა ისე მიეჩვია, რომ უცხო რო დაინახავდა, თვითონ უკრეჭდა კბილებს! შორიდანაც კი... ამიტომ სიცილა დავარქვი.

იმდენი იცინა, რომ ერთხელაც მგელმა შეჭამა.

**შოთა ხოდაშნელი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დროის სუნთქვა

ოლგა ვაინშტეინი

# ჩემი ოცნების მამაკაცი — სხეულის ისტორიის ეტიუდები

**მე სულაც არ მომწონს საქმიან კოსტიუმებში გამოწყობილი კუნთმაგარი, თავდაჯერებული მამაკაცები.**

**მამაკაცი, უწინარეს ყოვლისა, აკურატულად უნდა გამოიყურებოდეს. უნდა იყოს სუფთა. და კიდევ... ზედმეტად გადაპრანჭული მამაკაცებიც ზიზღს მგვრის.**

**სანდომიანი, მორცხვი ყმაწვილი გრძელი თმებით, შავ ტანსაცმელში ჩაცმული, მაგრამ არა — კოსტიუმში, და მით უმეტეს — სპორტულში — აი, ჩემი იდეალი...**

**მე მომწონს აქტუალური, მკაფიო პიროვნებები, ოდნავი მანკიერებებით...**

**მე ჩაცმულობაში ვაჟკაცურობისა და ოდნავი დაუდევრობის მომხრე ვარ. არ მიყვარს გამოწკეპილ-გამოპრანჭულები.**

**აბა რა მნიშვნელობა აქვს, თუ რა აცვია მას! მთავარია ის, რაც ტანსაცმლის ქვეშ იმალება!**

**ხიბლი მამაკაცს უნდა ჰქონდეს! ავაზასავით მოქნილი უნდა იყოს, ამას იგრძნობ მაშინვე, შეიძლება ითქვას, ქვეცნობიერად...**

**რატომ, მაინცდამაინც ავაზასავით? დეპარდიე ხომ დათვს უფრო წააგავს, მაგრამ, სამაგიეროდ რა ხიბლი აქვს!**

ეს გახლავთ სხვადასხვა ადამიანის გამონათქვმი — intermoda.ru ფორუმზე იდეალური მამაკაცის შესახებ გამართული დისკუსიის ფრაგმენტები. როგორც ხედავთ, საკმაოდ მრავლადაა განსხვავებული მოსაზრება — ფორუმის ყოველ მონაწილეს სხვადასხვაგვარად ესახება მისი „ოცნების მამაკაცი“. ამავე დროს, ამ რეპლიკებში არის რაღაც თვალით უხილავი საერთო, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი თანამედროვე ქალების გამონათქვამებია. მაინც, როგორ წარმოიქმნება მამაკაცის სილამაზის იდეალი? რამდენად უკავშირდება მამაკაცის სხეულის აღნაგობის კანონი ეპოქის ისტორიულ გარემოებებს? ახდენს თუ არა გავლენას მოდა ვაჟკაცობის შესახებ პოპულარულ წარმოდგენაზე? მოდით, თავდაპირველად გავრისკოთ ზოგიერთი ისტორიული ორიენტირის განსაზღვრა.

### XXI საუკუნის სხეულის კანონი

ინგლისელი ესეისტი და კრიტიკოსი უილიამ ჰეზლიტი ნარკვევში „ჯენტლმენის გარეგნული სახის შესახებ“ (1821) გადმოგვცემს ჯენტლმენის გარეგნული ფიზიკური ნიშნების, შეიძლება ითქვას, საკმაოდ საინტერესო კულტურულ-ანთროპოლოგიურ აღწერას.

ჩვეული თავდაჭერილობა განსაზღვრავს ჯენტლმენის გარეგნობას. იგი მთლიანად უნდა მართავდეს არა მარტო საკუთარი სახის გამომეტყველებას, არამედ სხეულის მოძრაობასაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის გარეგნობასა და თავდაჭერის მანერაში უნდა იგრძნობოდეს, რომ იგი თავისუფლად ფლობს მთელ სხეულს, რომლის ყოველი მიხვრა-მოხვრა ემორჩილება მის ნებას. დაე, ყველამ დაინახოს, რომ იგი გამოიყურება ისე, როგორც მას სურს, ყოველგვარი რიდის ან უხერხულობის გარეშე. იგი, არსებითად, თვითონ არის საკუთარი თავის ბატონ-პატრონი... და თავის თავს ექცევა საკუთარი შეხედულებისამებრ, ისე, როგორც სიამოვნებს...

ჰეზლიტის მიერ აღწერილი კანონი XIX საუკუნის იდეალია. ჯენტლმენის სხეული მორჩილი ინსტრუმენტია, რომელსაც იგი პროფესიონალივით ფლობს — თავისუფლად და ერთგვარი სიამოვნებითაც. ჯენტლმენი თავისუფალია და მუდამ გამოირჩევა ელეგანტურობით, რომლის მიღმაც იმალება აღზრდა, ანუ პიროვნების შეგნებულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, და — როგორც ყოველივე ამის შედეგი — საკუთარი თავის პატივისცემა.

ჰეზლიტისათვის ასეთი ელეგანტურობის მაგალითია ლორდი უესლი. იგი განმარტავს:

ელეგანტურობა რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ლაზათი და სითამამე. იგი გულისხმობს სიზუსტეს (precision), ბრწყინვალებასა და დახვეწილ მანერებს, რაც ქმნის სიმკვირცხლისა და აღფრთოვანების ეფექტს ისე, რომ არ არღვევს თავაზიანობას.

როგორც ვხედავთ, საერთო შთაბეჭდილება ჯენტლმენის გარეგნობაზე, ბუნებრივია, უკავშირდება მის მანერებს, ჩაცმულობასა და საკუთარი თავის წარმოჩენის უნარს. ამიტომ, პრაქტიკულად შეუძლებელია ვილაპარაკოთ სხეულის სილამაზესა და მის ფლობაზე ისტორიულ-კულტურული კონტექსტიდან მოწყვეტით. საჭიროა რაც შეიძლება მეტი სარკე და ლინზა, რათა კარგად შევათვალიეროთ „ჩემი ოცნების მამაკაცი“.



### ელეგანტურობა და მოქნილობა

ნებისმიერ ეპოქაში ელეგანტურობისათვის საკმაო მნიშვნელობა ენიჭებოდა ტანსაცმლის ტიპს, რომელიც განსაზღვრავდა სხეულის მოქნილობის დასაშვებ ზომას. ისტორიულად ყოველი კოსტიუმი გულისხმობდა ჟესტების გარკვეულ სერიას, ზღუდავდა ერთ მოძრაობას და სანქციას აძლევდა მეორეს. მაგალითად, XVIII საუკუნის მანდილოსნების კრინოლინი არ აძლევს ქალს ხელების ჩამოშვების საშუალებას და მოძრაობის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა ნორმად იყო მიღებული. მხოლოდ XIX საუკუნის დამლევისათვის გამოჩნდა პირველი „რეფორმირებული“ კაბა, რომლითაც შეიძლებოდა ველოსიპედზე ჯდომა, მაგრამ თვით XX საუკუნის ოციან წლებშიც კი კოკო შანელს ჰქონდა გაცხარებული კამათი მამკაც-კუტიურიეებთან, რომლებსაც ვერა და ვერ გაეგოთ, თუ რა საჭირო იყო კაბებზე სახელოს თავისუფალი ჭრილი, ნუთუ ქალს სჭირდება ხელის აწევა?

სხეულის თავისუფლება დამოკიდებული იყო როგორც კოსტიუმის სივიწროვეზე, ისე ქსოვილის ელასტიკურობაზეც: მაგალითად, XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ინგლისურ კოსტიუმებში ვერ შეხვდებით ძველ კარკასულ ფორმებს, რადგან იწყება ახალი ელასტიკური მასალების გამოყენება, რაც დგომის სრულიად ახალი მანერების შემოღებას განაპირობებს. აზნაური ახლა ირგვლივმყოფებთან ურთიერთობის დროს არათუ აღარ იიდგა „ბოძივით“, არამედ ოდნავადაც კი იყო გადახრილი და წინ ჰქონდა გადმოდგმული მარჯვენა ფეხი, ოდნავ შესამჩნევი მსუბუქი მოძრაობით „იკავებდა კორპუსს“, რაც მას აძლევდა შესაძლებლობას ორიოდე სიტყვით მიემართა რომელიმე ირგვლივმყოფისათვის ისე, რომ არ შეეფერხებინა საუბარი. ეს გახლავთ ინგლისელი არისტოკრატის ახალ იერსახე, უბრალო და თავისუფალი, რომელიც წარმოიქმნა იმიტომ, რომ... მრეწველობა იქ იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ გამოჩნდა უფრო ელასტიკური მრავალი ახალი ქსოვილი. ეს სტრიქონები ეკუთვნის მ. ნ. მერცალოვას და ავტორს მოჰყავს დახვეწილი ალგორითმი: მამაკაცის ელეგანტურობა ასოციაციით არის დაკავშირებული სხეულის მოქნილობასთან. ეს „ბინომი“ საფუძვლად უდევს მაღალი წრის მამაკაცის იდეალს, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ მოქნილობას, რაც მას საშუალებას აძლევს, ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს დახვეწილი ჟესტები. მაგალითად, რომანში „გერმანტებთან“ პრუსტი გვიხატავს ახალგაზრდა არისტოკრატი-დენდის სენ-ლუს პორტრეტს, რომელიც რესტორნის მაგიდებს შორის უმოკლესი გზის ძებნისას მოძრაობს და წონასწორობას იცავს, თავდაპირველად სკამებზე, შემდეგ კი — სკამების საზურგეებზე, რათა გადასცეს მარსელს თბილი ლაბადა. გზადაგზა იგი ახტება მაგიდებს შორის გაჭიმულ ელექტროსადენებს და ამას აკეთებს „ისევე მარჯვედ, როგორც მოჯირითე ცხენი გადაევლება ხოლმე ბარიერს“. რესტორნის ყველა სტუმარი აღტაცებით შეჰყურებს მის მარჯვე ვოლტიჟირებას. მარსელი ამ გრაციოზულ ნახტომებში სხეულის არისტოკრატიულ აგებულებას ხედავს; მისი აზრით, ეს შეუცნობელი ფიზიკური დახვეწილობა კეთილშობილური წარმოშობის შედეგია. ეს თანდაყოლილი მოქნილობა სენ-ლუს სხეულს „მოაზროვნეს და გამჭვირვალეს“ ხდის, მის მსუბუქ გარბენს მატებს იდუმალებით აღსავსე მშვენიერება, სწორედ ისეთი, რომლითაც გამოირჩევა მხედრების პოზა ფრიზზე. სენ-ლუს სხეული, როგორც არისტოკრატიზმის კვინტესენცია, მარსელისათვის უფრო მნიშვნელოვანიც კი არის, ვიდრე მეგობრის სულიერი თვისებები. მის მანერებში იგი ხედავს წინაპართა „წასული სიდიადის ნაშთს“: უბრალოებას, თავისუფლებას, მატერიალური ფასეულობებისადმი გულგრილობას. აქ ჩვენს წინაშეა არა უბრალოდ ლამაზი სხეული, არამედ „წოდებრივად ლამაზი სხეული“. ეს არის განსაკუთრებული კონცეფტი, მშვენიერი და კეთილშობილური არისტოკრატიზმის მისტიკური ფანტომი.

სინამდვილეში, სენ-ლუს დახვეწილი ელეგანტურობა და სხეულის სიმარჯვე, რა თქმა უნდა, თანდაყოლილი თვისებები არ გახლდათ. ეს მიიღწევა ინტენსიური ვარჯიშის გზით. უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სიუჟეტის მიხედვით სენ-ლუ სამხედროა და ფლობს ჯირითის ხელოვნებას, ალბათ, ცეკვასაც სწავლობდა.

მაღალი წრის ადამიანთა უნარ-ჩვევებს შორის ცეკვას პირველი ადგილი ეკავა, რადგან მასში ოპტიმალურადაა შეხამებული როგორც ფიზიკური ვარჯიშები, ისე მუსიკალური ნიჭის განვითარება და რიტმის გრძნობა. ბიჭები და გოგონები აუცილებლად სწავლობდნენ ცეკვას და ეს მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამართულად და გრაციოზულად მოძრაობის უნარს უვითარებდა. როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. მ. კირსანოვა, ძველ პორტრეტებზე გამოსახულ ადამიანთა პოზები ხშირად მოგვაგონებს ცეკვის გაკვეთილებზე შეძენილ უნარ-ჩვევებს: ზურგის სწორად დაჭერა, შემართული თავი, განზე გაწეული იდაყვები, — ყოველივე ამას გვასწავლიდა ცეკვის სახელმძღვანელოები. სწორედ ასეთი დახვეწილი ნიშნებით გამოარჩევდით კეთილშობილი წარმოშობის ადამიანებს. ალბათ, ესეც განაპირობებს იმას, რომ ერთი ეპოქის გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები რაღაცით მუდამ წააგავს ერთმანეთს. „დახვეწილი პოზები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდებოდა წოდებრივი კუთვნილების თავისებური ნიშანი და უფრო ზუსტად მიანიშნებდა მის წარმომავლობას, ვიდრე კოსტიუმი ან ვარცხნილობა“, — წერს რ. მ. კირსანოვა. შემთხვევითი არ არის, რომ ხელის გადაჯვარედინებულ თითებს, ან მოხრილ მხრებს შეიძლება შევხვდეთ მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრების ნამუშევრებში, როცა ფერმწერისათვის მოდელები ხდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი სათანადო სკოლა (კრამსკოის, პეროვის ან იაროშენკოს ზოგიერთი გმირი).

ცეკვის სახელმძღვანელოებში დაწვრილებით არის აღწერილი კეთილშობილი ადამიანისათვის დამახასიათებელი სახის გამომეტყველებაც კი: აწეული ნიკაპი, გამჭოლი მზერა, რომელიც „სასიამოვნო მხიარულებას“ მიანიშნებს, ოდნავი ღიმილი, რომლის დროსაც კბილები არ მოსჩანს. ასეთი კანონიკური გამოსახულების ყველაზე საინტერესო ეფექტია მე-18 საუკუნის პორტრეტებზე აღბეჭდილი იდუმალებით აღსავსე მოციმციმე მზერა.

მაღალი წრის ადამიანის სხეულის „კანონი“ ავალებდა მას გარკვეული მანერების მთელი შენარჩევის ფლობას. მას უნდა შეძლებოდა თავისუფლად მოეხმარა წვრილმანი ნივთები: ხელჯოხი, შლაპა, თამბაქოს კოლოფი, ყავის ფინჯანი, მოხდენილად უნდა ეტარებინა კოსტიუმი. არისტოკრატული ტალანტების ტიპურ აღწერას შევხვდებით ბალზაკთან, რომელიც გვიხატავს დენდი ანრი დე მარსეს პორტრეტს (ამ გმირის პროტოტიპი იყო გრაფი დე ორსე):

ეს ახალგაზრდა კაცი ყმაწვილის სახით და ბავშვური თვალებით, ლომივით მამაცი და მაიმუნივით მოქნილი იყო. ათი ნაბიჯიდან დანის პირისათვის ნასროლ ტყვიას შუაზე ჭრიდა; ცხენზე ამხედრებული ლეგენდარულ კენტავრს წააგავდა; მოხდენილად მართავდა მწკრივად შებმულ ეკიპაჟს, იყო ქერუბინივით მკვირცხლი და კრავივით მშვიდი, თუმცა შეეძლო გამკლავებოდა ნებისმიერ გარეუბნელ მუშას ჭიდაობაში ან კეტებით ბრძოლის დროს; ფორტეპიანოს უკრავდა ისე, რომ გაჭირვებისას მუსიკოსობასაც შეძლებდა და ისეთი ხმა ჰქონდა, რომელიც ბარბახთან ერთ სეზონზე ორმოცდაათი ათას ფრანკს მოუტანდა.

(გაგრძელება იქნება).



## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

### ისევ ერთად უნდა ვიყოთ!..

**აფხაზეთის მკვიდრ ყველა ჭეშმარიტ აფხაზსა და ქართველს**

აფხაზეთი — სამეოფელი
კოლხ-აფხაზი არწივების,
არასოდეს არ ყოფილა
ოსმალების, არმიანების.

აფხაზეთი შერვაშიძე-
ემხვარების დედა გახლავთ,
როგორც მარღანიების და
ლომიების, ჩემო გახა.

აფხაზეთის შვილობაში
ვინ აჯობებს მარშანიებს,
ისე როგორც გალობაში
კოლხ-აფხაზურ მაფშალიებს?

სად ამბარი, დბარი, ხმირი...
და სად დიმიტრი გულია!
აფხაზია ჰაპასქირი,
აფხაზია სანგულია.

გაგულიაც იყო ერთ დროს,
ჯერგენიაც იყო ადრე,
მაგრამ მერე... ჰოი, ღმერთო!
უსაშველოდ გადაგვარდნენ.

ერთად ეყფნის ჟინი მიჰყრობს,
შალი, ბორის, კოტე, მუშნი!
ისევ ერთად უნდა ვიყოთ
ძმობასა და სიყვარულში.

ქართველები, აფხაზები,
ოდითგან ვართ, ძმანო, ძმები!

ნათესავები ვართ სისხლით
და ეს გრძნობა მაღალია,
როგორც მეგობრობა იყო
ჰაიჭამე-მარღანიას,

დავით ეიფიანისა და
დარასელია ვიტალის...
ჰოდა, ახლა ეს სიშორე
როგორ უნდა ავიტანოთ?

კი, რაც იყო, კვლავ იქნება —
ის მოყვრობა სანუკვარი.
გვინდა სხვისი დარიგება?
შვილები ვართ ერთი გვარის,

ერთი დედის გაზრდილი ვართ,
მუმუც გვიწოვია მისი,
მტერიც ერთი გვყავდა მუდამ,
ვეღარ გაძღა ჩვენი სისხლით.

როგორ იტანთ ნეტავ ძმები
ლტოლვილობას აფხაზების?

გადაკარგულ თქვენს ძმებს უხმეთ —
ლაკერბაიებს და ზუხბებს.
თქვენს სვეტლანა ქეცბას უხმეთ,
თბილისში რომ ხოსუმს ნატრობს.

მე კი, სხვა თუ არაფერი,
აფხაზეთის — სიგიჟემდე
მონატრება მომკლავს მარტო
ათწლიანი ჯვარცმის შემდეგ.

. . . . . . . . . .

გადასარევ სიზმარს ვხედავ
(ცხადად იქცეოდეს ნეტავ!)
ცხენზე მჯდომი, როგორც ქარი
ენგურს გაღმა მივიჭქარი.

ვყვირი: აჩუ! აჩუ! გასწი!
და ხმა ჩემი გამყივანი,
ანუ მიხა ჩაჩუასი,
გულს უჩუყებს ამ მეინჯარებს.

და, ჰა, ვხედავ, რომ ისინი
იღვრებიან ჩანჩქერებად.
„ჰე, მიხეილ, მოისმინე,
აგისრულდა, რაც გენება!“

ხმა ჩამესმა რა დიადი,
ჩამოსული ლურჯი ციდან
და უშველებელი დარდი
უცებ გასდა ერთი ციდა.

გამეღვიძა: სივრცე იყო
გაჩახჩახებული მზითა.

**მიხეილ ჩაჩუა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნიჟი

# ასპინძაში რომ მხატვარი ცხოვრობს...

**დალოცვილი, ღვთივკურთხეული მხარეა სამცხე-ჯავახეთი, თვითონ ძირძველი საქართველო, ქართველი ერის სულიერი მშვენიერების დიდი ნიშანსვეტი, აწმყოს, წარსულისა და მომავლის იმედიან ვარსკვლავზე გაჩენილი. თუნდაც ერთხელ რომ მოინახულო წინაპართა ეს ძველი ნაახვნარი, კლდოვანი, აქა-იქ ხრიოკი, აფერადებული გორაკები და აჭრელებულ-აბიბინებული მთა-ბარი, არა მგონია ოდესმე დაივიწყო იგი. რაც დრო გავა, თავისკენ მიგიზიდავს, ოცნებად შემოგენთება ცასა და დედამიწას შორის ბამბასავით განფენილი ფაფუკი ნისლი, აქოჩრილი, დაბურული ტყეები, ვერცხლივით კამკამა მდინარეები, ყინულივით ცივი წყაროები.**

მომენატრა, აშკარად მომენატრა... წინაპართა ნაფუძვრის ხილვის სურვილმა მოსვენება დამაკარგვინა. ამ დღეზე დიდხანს ვოცნებობდი და ბოლოს, როგორც იქნა, მესხეთში ჩემი სტუმრობა ახდენილ სიზმარს დაემსგავსა. კვლავ მოვინახულე განუმეორებელი ისტორიული ძეგლები, ტაძრები, ციხესიმაგრეები, არქიტექტურული ნაგებობანი, შევხვდი ჩემს უახლოეს მეგობრებს, უფალს შევთხოვე აწ გარდაცვლილთა სულის შენდობა, შევეხმიანე ძმადნაფიც რობერტ ბერიძეს, რომლის ასავალ-დასავალი კარგა ხანია აღარ მსმენოდა.

ღრმა პატივისცემის გრძნობით შემოვიარე ნაავდრალი და ნატყვიარი სამცხე-ჯავახეთი, მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევებით დაღადრული და მკერდშეხორცებული. წარსულის მოგონებები სათუთად შემოუნახავს, ზნე-ჩვეულებებს, პატიოსნებას ადამიანური ღირსების სამოსში ახვევს. აქაური ქართველი გლეხი ქამთასვლამ ვერ შეცვალა, ვერც ღვთით გასხივოსნებული სულიერი სამყარო შეუბღალა.

გულაძგერებულმა თვალი შევავლე მესხეთს, მოვესათუთე საფარას, ურავლის ტყეებს, ქაცვის ეკლიან ბუჩქებსაც გავანდე გულის საიდუმლო. გალაკტიონის სტრიქონებმა ხომ სულმთლად დამაკარგვინა მოსვენება:

**„ამოძრავდეს მთა და ქედი,**
**გამობრწყინდეს**
**ქართლის ბედი,**
**ახმაურდეს ვეფხი მეტი,**
**მეტის ძალით**
**და იმედით —**
**დღეგრძელობდეს მესხი:**
**თან ის მესხი**
**— უახლოეს ხანის,**
**მესხი „ვეფხისტყაოსანის“,**
**მესხი მესხეთ-ჯავახეთის“.**

„მესხი მესხეთ-ჯავახეთის“... ამაზე დიდხანს ვფიქრობდი და მინდა თქვენც გაგიმჟღავნოთ. სწორედ მესხეთ-ჯავახეთის ღვიძლი შვილია რობერტ ბერიძე, ჩვეულებრივი მესხი „ვეფხისტყაოსანის“ — კარგი პედაგოგი, ეთნოგრაფი, მხატვარი, მოქანდაკე, ოჯახის ღირსეული მამა და მოამაგე.

ეზოში გულღიად შემიძღვა, ისედაც მაღალი გადასახედიდან შორს გამახედა:

— აი, ამ ბექობიდან სარდლობდა მეფე ერეკლე ქართველ მხედრებსო, — სიამაყით გამანდო.

თითქოს თვალწინ გაცოცხლდა ბრძოლის თვალუწვდენელი სარბიელი. შემძრა წარსულის გახსენებამ. ასე მეგონა მეფე ერეკლეს ნატერფალზე უხერხულად ვიდექი. წარმოუდგენელია, რომ დიდი მხედართმთავარს სხვა ადგილი შეერჩია... აქედან მშვენივრად მოჩანს ასპინძის დიდი ნანგრევები.

მშვენიერ ორსართულიან შენობაში მოზაიკის კიბით ავედით. ირგვლივ ყველაფერი ფაქიზი იყო და სუფთა, რაც ეჭვსგარეშეა, დიასახლისის შრომისმოყვარეობაზე მეტყველებდა.

კედელზე გაკრულმა ბარელიეფებმა და მხატვრულმა ტილოებმა გამაოცა. ეს ჩემი ქმნილებებიაო, მაცნობდა მასპინძელი. ვაკვირდებოდი მთელ ამ სულიერ ფასეულობას და ვფიქრობდი, როდის მოასწრო ამდენი სიკეთის შექმნა პედაგოგმა თავისი ძირითადი საქმის, ისტორიის სწავლების პარალელურად? ფაქტს ვერსად გაექცევი. რობერტ ბერიძე ჭეშმარიტი ხელოვანია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მხატვარიცაა და მოქანდაკეც.

ნამუშევრების დიდი ნაწილი სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ წარსულს ასახავს, პროფესიონალის თვალით დანახული სამყარო შთამბეჭდავია და კეთილშობილური განცდის აღმძვრელი. ნეტა თქვენც განახათ, რა მშვენიერი ბარელიეფებია, მხატვრულად დასრულებული, ფიგურების მწყობრი ანსამბლი განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას. შთამბეჭდავია მეფე თამარის სახე. გეგონებათ ტილოებიდან გადმოდიან გაცოცხლებული პერსონაჟები. აშკარად იგრძნობა, როგორ დალოცა მეფემ ქართველი მხედრობა რუკნადინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბასიანის ბრძოლის წინ ქართველ დიდებულთა განწყობილებაც აშკარად სახიერია.

შთამაგონებელია თამარის ფიგურა. მარცხნივ დგას საქართველოს კათალიკოსი, ფონზე — ანგელოსებია — სიკეთის, გამარჯვების სიმბოლო. თამარის წინ მუხლი მოუყრია ორ რაინდს. პირველს დროშა უპყრია ხელთ, მეორეს ხმალი, მესამე მოწიწებით დგას თავდახრილი. ორი ასომთავრული „რ“, „ბ“ ავტორის ვინაობას მიუთითებს.

ასევე დიდებულია ბარელიეფი „ქეთევან წამებული“. ქეთევანს ეკლიანი შარავანდედი მოსავს, მკერდზე ჩამოშლილი თმა, გულზე ჯვარი კდემამოსილებით აღავსებს. შინაგანი სულიერი მხნეობა და დიდი ნებისყოფა შტრიხებში ვლინდება. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, ქეთევანი ეს არის რობერტ ბერიძის დიდი გამარჯვება, წმინდანი ქალის სახის კლასიკური ელფერით ასახვა.

1625 წელს მარაბდაში 9 ათასი ქართველი 14 ათასი ყიზილბაშის წინააღმდეგ იბრძოდა. რობერტ ბერიძემ ამ თემაზეც შექმნა ერთობ შთამბეჭდავი ნამუშევარი. მისი ბარელიეფი მთლიანობაში ფარისებურია, რომელზეც გამოსახულია გადატეხილი ხმალი. გააფთრებული მეომარი უტევს მრავალრიცხოვან შუბოსნებს, იქვე წაქცეული მეომარია. სიტუაცია მძაფრი — სისხლისმღვრელი შეტაკების აშკარა განწყობილება იქმნება.

თანამიმდევრობით განლაგებულ ბარელიეფებს ლოგიკურად აგვირგვინებს მონუმენტური სიუჟეტი — „შესანდობარი“. ჯაჭვის პერანგიანი ხანდაზმული მეომრები სევდიანად ჩასცქერიან ღვინით სავსე ფიალებს.

მხატვარმა რ. ბერიძემ მესხეთის ბუნება დამახასიათებელი მრავალფეროვნებით ერთობ შთამაგონებელი შტრიხებით გადაიტანა თავის მრავალრიცხოვან ტილოებზე.

რობერტ ბერიძის ნამუშევრების ამაღლებული, პოეტური განწყობა ფერწერულ ტილოებშიც თავისთავად არანაკლებ შთამბეჭდავია და მიმზიდველი. მაგალითად, „ჭობარეთელი მოხუცები“... როგორც დასახელებიდან ჩანს, ტილოზე მართლაც მოხუცები არიან გამოსახულნი. სევდიან განწყობილებას ხაზგასმულად წარმოაჩენს ურმის ბორბალი, თუნგი, ვარცლი და იქვე ჩაცუცქული უაღრესად დინამიური ძაღლის ფიგურა.

შემოქმედის პალიტრას მშობლიური მხარის ღრმა ცოდნა ამდიდრებს. უთუოდ მისაბაძია, რომ მოსწავლეებიც დარაზმა, დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დააარსა სკოლაში. პედკოლექტივის მხარდაჭერით ეს დიდებული საქმე ნორჩმა ენთუზიასტებმა ხალისით განაგრძეს.

მუზეუმში გამოფენილია სამცხე-ჯავახეთისადმი მიძღვნილი მდიდარი ფოტომასალა. გამოფენილია უძველესი ნივთები — სპილენძის, თიხის ჭურჭელი, გუთნები, კევრები. როგორც ცნობილია, ასპინძაში 148 ისტორიული ძეგლია, აქედან 23 ძეგლის ფოტოები და ნახატები მხატვარ რევაზ გვირჯიშვილს ეკუთვნის, ხოლო ექსკურსიებისა და ბუნებაში ლაშქრობების ამსახველი სტენდების გაფორმება რობერტ ბერიძემ ითავა.

უნებლიეთ გამახსენდა მასპინძლის გულწრფელი აღიარება — თუ რაიონში ცხოვრობ, გარკვეული წვლილი უნდა შეგქონდეს მის კულტურულ ცხოვრებაშიო. ამ თვალსაზრისით რობერტ ბერიძის დამსახურება აშკარად გამორჩეულია. შოთა რუსთაველის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, რომელიც ასპინძის ცენტრში მდებარეობს, საჩუქრად გადასცა ბარელიეფები „რუსთაველი“ და „სამცხის სამება“, მხატვრული ღირებულების მქონე ხის ფესვები, მრავალი სხვა ექსპონატი.

რობერტ ბერიძე საკუთარი ღირსების წარმოჩენას გაურბის. მოკრძალების მიუხედავად, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მადლობა და სამკერდე ნიშანი „სახალხო განათლების წარჩინებული“ დიდად ეამაყება.

...მასპინძელთან ერთად ფართო აივანზე გამოვდივარ. ღამის სიბნელე შეპარვია ასპინძას. რობერტი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გასცქერის. ალბათ, მის გონებაში საინტერესო სიუჟეტური ქარგა მზადდება. მჯერა, წინა რიგს დაიკავებს ქართველი ერის გმირული წარსული, პედაგოგი მხატვრის მასაზრდოებელი, სულიერი ზეშთაგონება.

საქართველოში ახლა არცთუ ხალისიანი დღეებია. ზოგიერთი აღმა ხნავს და ზოგიც დაღმა... ღრუბელი გაიფანტება, ცაზე მზე აკაშკაშდება. თქვენი დახმარებით და ღვთის შეწევნით, რობერტ ბერიძის წლობით ნალოლიავებ ნამუშევრებს თბილისელებსაც გავაცნობთ. დაე, ყველა ეზიაროს ქართველი ერის გმირული წარსულის ამსახველი ბარელიეფების გაცისკროვნებულ სიდიადეს, მრავალრიცხოვან მხატვრულ ტილოებს.

ჩემი მეგობრის ტალანტი სრულიად სწორედ მაშინ გამობრწყინდება.

კიდევ ერთხელ აღზევდება „მესხი ვეფხისტყაოსანის, მესხი მესხეთ-ჯავახეთის“.

**თამაზ ანთაძე,**
**ასპინძა.**

bp btc AIOC

# აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

## პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია „BP“, თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი“ (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს — გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს „გარემოსდაცვითი შეფასების“ დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან), რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის „Infoshop“-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD –ს საინფორმაციო ბიზნესცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ. 38, თბილისი, ტელ: 59-34-00.

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი.

რუსთავის მერიაში – კოსტავას ქ. 20, რუსთავი.

ახალციხის მერიაში – კოსტავას ქ. 18, ახალციხე.

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას“ და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს“ მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 21 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "**დიდიე**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.05 დოკ. ფილმი "კარნაკი" 14.00 ტელესერიალი "**72 საათი**" 15.15 მხ. ფილმი "**კანონის მეორე მხარეს**" 16.50 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 17.05 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 17.20 50 – 50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "პალიტრა"- კარავაჯო 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში (ბენ აფლეკი) 22.35 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 23.00 "რა ხდება" 00.00 მხ. ფილმი "**ექსპერიმენტი ფილადელფია**".

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი "**რვაფეხა**" 20.30 ვმესტე 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "**არლეტი**".

07.00 დილა მშვიდობისა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 09.40 სერიალი "**ასულ ტეკილა**" 10.20 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.10 სერიალი "**მეწამული ყვავილი**" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "**ასულ ტეკილა**" 18.00, 21.00 კურიერი 18.15 ჩვენი ეზო 18.25 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.50 სერიალი "**მაშველები**" 19.40 სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" 22.00 სერიალი "**ჯაშუში**" 22.50 ღამის კურიერი 00.10 მხ. ფილმი "**სიყვარული იარაღია**". მთ. რ-ში: ერიკ რობერტსი, კელი პრესტონი. 02.00 კურიერი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 18.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "**თამაში**" 10.20 მხ.ფ. "**წერილი საიგონიდან**" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი 14.10 დოკ. ფილმი 15.20 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.45 დოკ. ფილმი "მოდის სამყაროს შემოქმედი" 20.00 ბურთი და მოედანი 20.30 მხ. ფილმი "**დროის მანქანა**" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "**არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში**" 01.30 ღამის ფილმი

